# ლამპარი

თ ფ ი ლ ი ს ი

ხუთშაბათი, 25 (7) მაისი.

1906

წლიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

№ 28 ყ ო ვ ე ლ-დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი. № 28


ქუთაისში სათათბიროს წევრებათ სოციალდემოკრატები აირჩიეს.— თფილისში მუშები იფიცებიან.—გაფიცულ და უსაქმოთ დარჩენილ მუშებს თფილისის გენერალ-გუბერნატორი აპატიმრებს და გადასახლებას უპირებს.—„პარტიების" მძარცველობა.—პეტერბურგში „მუშათა დეპუტატების საბჭოს" წევრები გაანთავისუფლეს, გარდა ხრუსტალიოვისა.


რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

**ხელის მომწერლების საყურადღებოთ**

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია პირველ ივნისიდან გაზეთის გზავნა მოესპობა. რედაქცია სთხოვს დააჩქარონ ფულის გამოგზავნა


თფილისის გუბერნიის **სათათბიროს ამომრჩევლების კრება** და **წევრთა არჩევა მოხდება ოცდა ექვს ამ თვეს.** საჭიროა ამომრჩევლები—სოციალ-დემოკრატები და მათი მომხრენი **რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდნენ** წინდაწინ მოლაპარაკების გასამართავათ.


რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

რადგან გაზეთის გამოცემა ეხლანდელ პირობებში მეტათ ბევრ ხარჯებს თხოულობს და შემოსავალი გასავალს ვერ ფარავს, ამის გამო რედაქცია იძულებულია გაზეთის ფასი აწიოს ამ რიგათ:

| | |
|---|---|
| წლიურათ . . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . | 4 მან. |
| სამი თვით . . . . | 2 მან. |
| ორი თვით. . . . | 1 მან. და 50 კაპ. |
| ერთი თვით . . . . . . . | 80 კაპ. |
| თფილისში თვიურათ ღირს . | 60 კაპ. |
| ცალკე ნომერი ყველგან . . . | 5 კაპ. |

**ხელის მომწერლების საყურადღებოთ.**

ვისაც **„ლამპარი"**-ს გამოსაწერათ რედაქციაში ფული არ შემოუტანია, ხვალიდან გაზეთი აღარ გაეგზავნება.

ხელის მოწერა მხოლოდ რედაქციის კანტორაში და აგენტებთან მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვიდან.

კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდის და საღამოს 5-დან 7 საათამდის, კვირაობით 12—2 საათამდის.

**რედაქციის კანტორა იმყოფება ნიკოლოზის ქუჩაზე, სახლი № 39.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЛАМПАРИ".


# მ ო წ ო დ ე ბ ა
## საგუბერნიო ამომრჩეველთადმი.

**მოქალაქენო!**

26 ამ თვეს თქვენ უნდა აირჩიოთ თქვენ შორის დეპუტატები სახელმწიფო დუმაში გასაგზავნათ. თქვენ უნდა შეასრულოთ განსაკუთრებულათ მძიმე და პასუხ საგებელი მოქალაქობრივი ვალი.

თქვენ შემოგცქერით მთელი გუბერნია, რომელმაც წარმოგგზავნათ ამომრჩევლებათ; თქვენკენ არის მოპყრობილი ჩვენი ქვეყნის ყურადღება; არჩევნების შედეგს გაფაციცებით ელის მთელი იმპერია საზოგადოთ, და სახელმწიფო დუმა კერძოთ. ქვეყანა სასოებით ელის, რომ თქვენ პირნათლათ და ღირსეულათ შეასრულებთ ხალხის მონდობილობას და მით თვალსაჩინოთ წინ წასწევთ მიმდინარე განმათავისუფლებელ მოძრაობის სახალხო საქმეს.

დღეს რამდენათაც უფრო ადვილი არის თქვენი მოვალეობის შესრულება, იმდენათ უფრო პასუხსაგებელია იგი. დღეს როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური მდგომარეობა, ისე პარტიების ვინაობა, ყველასათვის გაცილებით უფრო ნათელი და აშკარა არის, ვინემ ეს იყო ამ რამდენიმე თვის წინათ, როცა პირველათ დაიწყო არჩევნები.

დღეს აღარავისთვის არ უნდა იყოს საეჭვო, რომ სახელმწიფო დუმა ის ძლიერი იარაღია, რომლის დახმარებით რევოლიუცია უნდა მივიდეს თავისს ლოღიკურ დასკვნამდე—ხალხის გამარჯვებამდე. ამას კარგათ ხედავს თვით მთავრობა და ამიტომაც გადუწყვიტა თავიდან მოიშოროს როგორმე სახიფათო დუმა. ამის სისრულეში მოსაყვანათ იგი მხოლოდ მარჯვე შემთხვევას ელის და მანამდის კი უკანასკნელ საშუალებებს ხმარობს დუმა გადააქციოს უბრალო, სალაყბო კრებათ. ასეთ პირობებში დუმის მოქმედება უნდა იყოს მტკიცე, სწორი, პირდაპირი, თავ-გამოდებული; ასეთ პირობებში დუმას ესაჭიროება დეპუტატები, რომელნიც მას განუცხოველებენ ოპოზიციონურ მხნეობა-სიმტკიცეს და შთაბერავენ რევოლიუციონურ სულს; დუმას ესაჭიროება დეპუტატები, რომელნიც ერთგულათ და თავ-განწირულათ დაიცავენ მშრომელი ხალხის ყველა სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს, წინ წამოაყენებენ დუმის რევოლიუციონურ თაოსნობას და მით დუმასა და ხალხს შორის გასჭედავენ ცხოველ კავშირს, შექმნიან აუცილებელ პირობებს ნამდვილ დემოკრატიულ წეს-წყობილების დასამყარებლათ.

მოქალაქენო! დღეს თქვენ საკმაოთ გაცნობილი გექნებათ ყველა ბურჟუაზიული პარტიები და მათ შორის უფრო ცნობილი კადეტების პარტია. გასულ ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში მათ მიერ ჩადენილ მოღალატეობას რომ თავი დავანებოთ, და გადავხედოთ მათ შემდეგ მოქმედებას დუმაში, თუ დუმის გარეთ, თქვენ ხელში გექნებათ არა ერთი და ორი ფაქტი კადეტების მოქალაქობრივი ლაჩრობისა და პოლიტიკური უილაჯობის, რაიც ხალხისადმი პირდაპირ მოღალატეობას უდრის. ჩვენებური კადეტები ხომ რუსეთისაზე კიდევ უარესები არიან, უფრო მარჯვნივაც სდგანან. რაც შეეხება რადიკალ-დემოკრატიულ პარტიებს საზოგადოთ და კერძოთ ს.-ფედერალისტებს, დღეს ყველა საქმეში ჩახედული ადამიანი ხედავს მათს პარტიულ უძლურებას და პოლიტიკურ უსუსურობას.

მოქალაქენო! ჩვენს მხარეში, ყველგან, სადაც ვერც შავ-ბნელ რეაქციამ გასტეხა ხალხის ძლიერი სული და ვერც ბურჟუაზიულ პარტიებმა აუბნიეს იმას გზაკვალი, ყველგან არჩეულნი არიან სოციალდემოკრატები. ხალხმა ასეთი არჩევანით ნათლათ ჰყო, რომ იგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ ენდობა ვერც ერთ ბურჟუაზიულ პარტიას, რაც უნდა დიდ რევოლიუციონერათ მოჰქონდეს თავი. ხალხმა ამ არჩევანით აღიარა, რომ ავაზაკურ, ძველ მთავრობასთან და გასისხლიანებულ ძველ რეჟიმთან მას არაფერი აქვს სალაპარაკო გარდა იმისა, რომ ეს მთავრობა და ეს რეჟიმი ძირიან-ფესვიანათ და სამარადისოთ უნდა მოისპოს; მის ნანგრევთაგან გაწმენდილ ნიადაგზე უნდა დამყარდეს ნამდვილი ადამიანური ცხოვრება, სრული დემოკრატიული წესწყობილება, ნამდვილი სახალხო თავისუფლება!

და ამ მიზნის განხორციელებას ხალხის ღრმა რწმენა ელის სოციალდემოკრატიის ხელმძღვანელობით ატეხილ თავგამოდებულ ბრძოლაში.

მოქალაქენო! მთელი დღევანდელი სოციალ-პოლიტიკური ვითარება, საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება, პოლიტიკურ პარტიების ურთიერთობა, ყველაფერი, თვითონ ბუნება, იმპერატიულათ თქვენ გიკარნახებთ რა უნდა იყოს თქვენთვის ამომრჩეველთათვის მოქალაქობრივ ვალის ღირსეული შესრულება.

მოქალაქენო! თქვენ უნდა დეპუტატებათ აირჩიოთ კანდიდატები იმ პარტიისა, რომლის დროშაზე მუშა-ხალხს თავის სისხლითვე წაუწერია: „ან ბრძოლაში სიკვდილი და ან ხალხის სრული გამარჯვება"; ადამიანობა, თავისუფლება, ფართე ასპარეზი კაცობრიობის ბრწყინვალე მომავალის, სოციალიზმის განსახორციელებლათ!

მოქალაქენო! თქვენ პირნათლათ და ღირსეულათ შეასრულებთ ამ წმინდა მოვალეობას!

მოქალაქენო! აირჩიეთ დეპუტატებათ სოციალდემოკრატიის კანდიდატები!

# დ ე პ ე შ ა
### კ ე რ ძ ო

**ქუთაისი.** სათათბიროს წევრებათ აირჩიეს სოციალდემოკრატები: ისიდორე რამიშვილი, ივანე გომართელი და სერგო ჯაფარიძე.

---

### მთავრობის განზრახვა და ჩვენი ტაქტიკა სახელმწიფო სათათბიროში

როგორც გუშინდელ წერილში ვნახეთ, მთავრობას განზრახვა აქვს გადააქციოს სათათბირო უსარგებლო და უვნებელ სალაყბოთ, რომელშიაც ხალხის წარმომადგენლები ჯგუფობით გულს მოიჯერებენ, მაგრამ მთავრობას ვერავითარ ვნებას ვერ მოუტანენ. რა გზას უნდა დაადგეს, როგორ უნდა იმოქმედოს სათათბირომ, რომ მთავრობამ ვერ შესძლოს მისი გამასხარავება, რომ მთავრობა მას შიშით და კრძალვით მოეპყრას?

ერთათ ერთი რეალური ძალა, რომელზედაც სათათბიროს შეუძლიან დაყრდნობა, არის ხალხი. თუ სათათბირომ მოიპოვა ხალხის ნდობა, ხალხის თანაგრძნობა, მას აღარ უნდა შეეშინდეს, რომ იგი გადიქცევა უმნიშვნელო სალაყბოთ. მხოლოდ ხალხის ნდობის მოპოებით შეუძლიან სათათბიროს გააბათილოს მთავრობის ვერაგული პოლიტიკა და ცხოველმყოფელ დაწესებულებათ შეიქნეს.

მაგრამ როგორ და რანაირათ შეიძლება ხალხის ნდობის მოპოვება? ხალხი ადვილათ არავის აახლოებს თავის ნდობით და თანაგრძნობით, ხალხის ნდობას და თანაგრძნობას დამსახურება უნდა. და დამსახურება კი შესაძლებელია მხოლოდ ერთის გზით—ბრძოლით. სათათბიროს წევრებმა უნდა ხალხს ცხადათ დაანახონ, რომ ისინი გულწრფელათ მოწადინებულნი არიან ხალხის სასარგებლო რეფორმები განახორციელონ, რომ ისინი არაფერს შეეპოვებიან, ოღონდ ხალხს რაიმე ხსნა მოუტანონ, რომ ისინი არავის შეუშინდებიან და თავგამოდებით იბრძოლებენ.

თუ სათათბირო რიგიანათ, კოველგვარ მთავრობის პოლიტიკას დაადგება, თუ მხდალ ლიბერალებს დაუჯერა და წესათ დაუდო არ გადაუხვიოს კანონიერების გზას, მაშინ მოხდება ის, რაც ასე ძალიან უნდა მთავრობას: სათათბიროს ცხოვრება კანონიერების კალაპოტში წყნარათ დაიწყებს დენას, ისე რომ შეიძლება მისი ზვირთები ერთხელაც არ შეეხონ მთავრობის ზღუდეებს; მის არსებობას შეუმჩნევლათ და უმნიშვნელოთ მოელება ბოლო და ამნაირათ სათათბირო უბრძოლველათ და სამარცხვინოთ გაქრება, ისე რომ პატარა კვალსაც ვერ დასტოვებს ხალხის ცხოვრებაში. სათათბიროსთვის საჭიროა ბრძოლა, სათათბირომ აუცილებლათ უნდა კონფლიქტი გამოიწვიოს მთავრობასთან. რაგვარათ შეიძლება ამ კონფლიქტის გამოწვევა?

სათათბირო შეიმუშავებს კანონპროექტებს, გადასცემს მათ სახელმწიფო საბჭოს განსახილველათ, ხელმწიფის დასამტკიცებლათ. ცხადია, ყოველი ცოტა მაინც მნიშვნელოვანი პროექტი უკან დაბრუნდება და დამტკიცებულ არ იქნება. რა ქნას სათათბირომ? შეჩერდეს? ჩაყლაპოს შეურაცყოფა? ქედი მოიხაროს და დამორჩილდეს მთავრობის ძალადობას? რა კი სათათბირო ნახავს, რომ კანონიერების ნიადაგზე მას გაამასხარავებენ, უნდა გადავიდეს იმ ნიადაგზე, რომელზედაც მთავრობა მის ძლიერებას იგრძნობს და მისი რისხვის შეეშინდება. ყოველ დიდ მნიშვნელოვან კანონპროექტის უკან დაბრუნების შემდეგ სათათბირომ უნდა გამოსცეს მოწოდება ხალხისადმი, ამ მოწოდებაში მდაბიო ენით უნდა გაურკვიოს ხალხს, სათათბიროს ამა და ამ რეფორმების განხორციელება სურს, მაგრამ მთავრობა უშლის, არ ასრულებინებს.

ამგვამათ, მაგალითათ, სათათბირო იხილავს მიწა-წყლის საკითხს. თუნდაც ეს საკითხი ისე ზომიერათ გადაწყდეს, როგორც ეს კადეტებს სურთ, მთავრობა მაინც არ დაამტკიცებს მას და თავში მიახლის ხალხის წარმომადგენლებს. პასუხათ სათათბირომ უნდა გამოსცეს მოწოდება „მთელი რუსეთის გლეხობის მიმართ", უნდა გლეხებს მდაბიო ენით აუხსნას, ხალხის წარმომადგენლებს სურთ თქვენ მიწა გადმოგცეთ, მთავრობა კი არ თანხმდებაო. ამნაირათ სათათბირო გლეხებს მოიმხრობს და მთავრობას გადაამტერებს.—გლეხების გარდა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხედრობის მომხრობას. სათათბიროს პროგრამაში არის ისეთი მუხლი, რომელიც მხედრობას შეეხება. „სათათბირო ეცდება შეიტანოს ჯარში სამართლიანობის სული". სათათბირომ ამ ზოგად ფრაზების მაგივრათ რამე რეალური ზომა უნდა მიიღოს ჯარის ცხოვრების გასაუმჯობესებლათ (მაგ., ორი წლის სამხედრო ბეგარა, ჯარის კაცებისთვის ჯამაგირის დანიშვნა და სხ.). ამაზე მთავრობა, რა თქმა უნდა, უპასუხებს ჯარის საქმე ხელმწიფეს შეეხებაო და არა სათათბიროსო, და კანონპროექტს უკან დაუბრუნებს. მაშინ სათათბირომ უნდა გამოსცეს „მოწოდება ჯარის მიმართ", რომელშიაც ჯარს შეატყობინებს საქმის ნამდვილ ვითარებას. ამით სათათბირო მხედრობის ნდობასაც დაიმსახურებს. ყოველ უკან დაბრუნებულ კანონ-პროექტზე სათათბირომ უნდა განგაში დაკრას, მილიონობით პროკლამაციები უნდა ბეჭდოს და ხალხში ავრცელოს, ხალხი უნდა მონაწილე გახადოს თავის და მთავრობის შუა ბრძოლისა.

სათათბირო უნდა გადიქცეს მთელი ერის საარჩევნო ორგანოთ, უნდა დაემსგავსოს იმას, რაც პროლეტარიატისთვის იყო „მუშათა დეპუტატების საბჭო". ამით სათათბირო მოიმხრობს მთელ გლეხობას, მთელ წვრილ ბურჟუაზიის და მხედრობის ნაწილს მაინც, პროლეტარიატს ხომ მომხრობაც არ უნდა, იგი რევოლიუციის ღვიძლი შვილია და მუდამ მზათ არის მას მხარი დაუჭიროს. თუ მთავრობამ სათათბირო გააუქმა და არ აცალა ყველა ამის შესრულება, რა ვუყოთ, მთავრობის მასხარის როლის შესრულებას სათათბირომ გაუქმება უნდა ამჯობინოს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი". მხოლოდ ერთს კი უნდა ეცადოს სათათბირო: რაც შეიძლება მეტი ხმაურობა უნდა მოახდინოს, მან უნდა საქმე იქამდის მიიყვანოს, რომ, როგორც რუსები იტყვიან „съ трескомъ провалиться!"

ამის შემდეგ მთავრობა და ხალხი პირისპირ წარუდგებიან ერთმანეთს.

ჩვენ უნდა ვეცადოთ ამნაირ გზაზე დავაყენოთ სათათბირო.

---

პოლიტიკური მიმოხილვა

### „პარტიების" მძარცველობა.

მოგეხსენებათ, რომ ბურჟუაზია მდიდარი ხალხია, მაგრამ ამასთან მშიშარაც არის. ისიც მოგეხსენებათ, რომ ზოგი „პარტია" ძალიან ღარიბია, მაგრამ ამასთან ძალიან „გულადიც" არის. ყველა პარტიას, რა კი დაარსებულა, არსებობის განგრძობა წყურია, არსებობისათვის კი საჭიროა ნივთიერი სახსარი, და თუ მას ასეთი სახსარი ნაკლებათ მოეძევება, ბუნებრივათ აზრი ებადება—ჩამოაგლიჯოს რაიმე იმის სიმდიდრეს, ვისაც ის ბლომათ აქვს. მაგრამ თუ ბურჟუაზია ნება-ყოფილობით გროშ-კაპეიკსაც არ იმეტებს „პარტიის" სასარგებლოთ და თუ არც პარტიას შესწევს იმდენი გავლენა-ავტორიტეტი, რომ მას უბრალო წინადადების მიცემითაც შეეძლოს მიიღოს რამე ბურჟუაზიისაგან, მაშინ ის, პარტია, სარგებლობს ბურჟუაზიის სუსტი მხარით, მისი მშიშრობით, და მაზე საჭირო გავლენის მოსახდენათ, მისგან ნივთიერის სახსრის დასაძრობათ, ხმარობს თავის ერთ-ერთ ფარხმალს—თავის „გულადობას". და აი ღარიბ, მაგრამ „გულად" პარტიას (ან „ჯგუფს") იერიში მიაქვს მდიდარ, მაგრამ მშიშარა ბურჟუაზიაზე—იერიში მიაქვს აშკარა, ან ფარული მუქარით და შეშინებით.

ასე იქცევიან ჩვენში, ახლათ მოვლენილი ანარქისტ კომუნისტები ვითომ „სოციალდემოკრატ." მუშათა ჯგუფი და ხელს არ აკლებენ არც ფედერალისტები. მოგეხსენებათ, რომ ყველა ეს ახლათ გამოჩეკილი „პარტიები" და ჯგუფები თავიანთ წევრებს თითებზე ჩამოითვლიან. შემოსავალიც ამის და კვალათ გროშ-კაპიკობით აქვთ, ე. ი. საარსებო სახსარი საკუთარ წყაროებიდან ძალიან ნაკლებათ მოეძევებათ, არსებობა კი ძალიან გულით წყურიათ. მათ ჯერჯერობით ხეირიანათ არავინ იცნობს, მათგან ჯერჯერობით თითქმის მხოლოდ მაღალფარდოვანი სიტყვები გაუგონიათ, მათი საქმე კი ჯერ თითქმის არავის უხილავს. ამის გამო მათ ჯერჯერობით ვერავისაგან (თითო ოროლა კაცი სახეში მისაღები არ არის) პატივისცემა ვერ დაუმსახურებიათ, ვერავიზე გავლენა ვერ მოუპოვებიათ, ვერავის თვალში ავტორიტეტი ვერ შეუძენიათ. ჰო-და, ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, თუ თითქმის არავის სურვილი არ აქვს, რომ ხსენებულ „პარტიებს" ან ჯგუფებს ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს. მათ კი ძლიერ, ესაჭიროებათ ასეთი „დახმარება"! მათი არსებობა ასეთი „დახმარების" უშოვნელათ თითქმის შეუძლებელია! რათაც უნდა დაუჯდეთ, როგორც უნდა იყოს, მათ ასეთი დახმარება უნდა იშოვონ, და თუ ბურჟუაზია ნებაყოფლობით არ იმეტებს მათთვის ერთ გროშსაც კი,—მაშ, სხვა რაღა დარჩენიათ—მუქარას, შეშინებას, ძალადობას უნდა მიმართონ. ჩვენს ხელში გაუვლია რამდენსამე დოკუმენტს „პარტიების" და „ჯგუფების" ასეთი მოქმედების შესახებ.

ამ წუთას ხელთა გვაქვს ერთი პატარა რუსულათ დაბეჭდილი ფურცელი, კონვერტში ჩადებული. კონვერტს გარედან აწერია: ბ-ნს ამა და ამ პირს (სახელის და მამის სახელის პირველი ასოები და გვარი), ესევე გვარი ორგან აწერია ფურცელზე. აქვე დაბეჭდილია: „მოითხოვს თქვენგან 600 მანეთს ჯგუფი ანარქო-კომუნისტებისა"; შუაზე დაკრულია რგვალი, მოგრძო ბეჭედი რუსული და ქართული სიტყვებით: „ჯგუფი ანარხისტ-კომუნისტებისა—თავისუფლება". პირდაპირ მუქარა ფურცელზე გამოთქმული არ არის, მაგრამ თვით მიმართვის ფორმა—„მოვითხოვთ"—თავისთავათ უკვე მუქარას გულისხმობს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნის მაგივრათ თხოვნით მიმართავდნენ. ასეთივე მოთხოვნით და მუქარით მიმართავენ ხოლმე ამა თუ იმ პირებს სხვა პარტიები და ჯგუფები.

აქ საყურადღებოა ერთი გარემოება. ხშირათ ის პირი, რომლისგანაც ფულებს მოითხოვენ, უკვე იხდის განსაზღვრულ

ფულს სოც.-დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოთ; მას მხოლოდ ეს პარტია სწამს, მხოლოდ მის მოქმედებას ცნობს სასარგებლოთ და ამიტომაც მხოლოდ ამ პარტიის დახმარება მიაჩნია საჭიროთ. ანარქო-კომუნისტები*) და ძმანი მათნი კი, თუმცა ტყუბილობენ, რომ ესა და ეს პირი ს. დ. პარტიის სასარგებლოთ იხდის ფულს, მაგრამ მაინც ჩასციებიან მას, გინდა არ გინდა სვენც გვეწამე და ჩვენც მოგვეცით ფული.

ამას გარდა, რამდენათაც ვიცით, არის ხოლმე ისეთი შემთხვევებიც, როცა ესა თუ ის „პარტია“ ან ჯგუფი, მსგავსათ ჩვეულებრივ მძარცველებისა, სოც.-დემოკრატიულ პარტიის გავლენიანი სახელით აშინებენ და ფულს ტყუებენ ზოგიერთ გულუბრყვილო მოქალაქეს. როგორც ტფილისის სოც.-დემ. მუშათა ორგანიზაციამ ამ დღეებში უკვე განაცხადა ჩვენი გაზეთის შემწეობით, ეს ორგანიზაცია მუქარით და შეშინებით ფულს არ აგროვებს და ეს კარგათ უნდა ახსოვდეს საზოგადოებას.

სურამის შესახებ „პარტიების“ მძარცველობის დარგში აღვნიშნავთ კიდევ შემდეგ მშვენიერ საქციელს ზოგი „პარტიისას“. ჩვენ ხელში ჩაგვივარდა ს.-ფედერალისტთა პარტიის შტემპელ-დასმული დოკუმენტი, რომელიც ამოწმებს, რომ რომელიღაც წევრს აღნიშნულ პარტიისას ამ უკანასკნელის სახელით ერთი მაღაზიის პატრონისათვის „ფეშქაშათ“ გამოურთმევია ღვინის დანა-ჩანგალი, ფუფაიკა, კალოშები, კოვზები და სხვა ასეთი ნივთები, რომლებსაც მხოლოდ ფედერალისტები თუ გამოიყენებენ თავიანთი პარტიის წინ წასაწევათ, თორემ სხვა პარტიებში კი მხოლოდ კერძო პირები იძენენ კერძო საშუალებით და კერძოთ სახმარათ. როგორი შეხედულებისაც უნდა ვიყოთ ს.-ფედერალისტების პარტიაზე, ჩვენ მაინც და მაინც ვერც მათ დავწამებთ, რომ ისინი თავიანთ პარტიულ საქმეებს სტოლის დანებით თლიდენ და ჩანგლებით წევდენ წინ. ჩვენ ის უფრო გვეეჭვება, რომ მათ პარტიულ შტემპელს პარტიის ზოგიერთი წევრი საკუთარი ფულის მაგივრათ იღებს ჯიბეში.

## პროფესიონალური კავშირები და სომეხი მუშები

იმ დროს, როდესაც რუსეთის თითქმის ყველა ეროვნების მუშები ებრძვიან თავიანთ მოწინააღმდეგე კლასს, როდესაც დიდი უმრავლესობა რუსეთის მუშებისა ჩაბმულია გამათავისუფლებელ მოძრაობაში, ამ დროს სომხის პროლეტარიატი განზე დგას ამ ბრძოლიდან და არა თუ მონაწილეობას არ იღებს მასში, არამედ თავის შეუგნებლობით წინაც ეღობება მას, სომხის პროლეტარიატს პროლეტარული იდეები დავიწყებული აქვს, იგი თავის მოწინააღმდეგე კლასის იდეებით არის გაჟღენთილი, სოლიდარობა ყველა ეროვნების მუშების, ბრძოლა ყველა ეროვნების ბურჟუაზიასთან მისთვის არ არსებობს. იგი სომხის ბურჟუაზიულ ბანაკში დგას და იქიდან ებრძვის თავის თავს. მას სომხის ბურჟუაზიის ინტერესები თავის ინტერესებათ მიაჩნია, მისი იდეალი თავის იდეალათ და ასე ხდის თავის თავს ბრმა იარაღათ სომხის ბურჟუაზიის ხელში, რაიც მეტათ ხელსაყრელია ამ უკანასკნელისთვის სომხის პროლეტარიატის და მშრომელი ხალხის უფრო კარგათ გასაყვლეფავათ და დასამონავებლათ.

თუ არ სომხის პროლეტარიატის შეუგნებლობა, თავიდან ასაცილებელი იყო ის სამარცხვინო და უაზრო ომი, რომელმაც შეიწირა ათობით და ასობით ქალაქის და სოფლის სომეხ-თათართა მუშების სიცოცხლე. თუ არა მის გულში ჩაჟესლი ნაციონალურ-კლერიკალური იდეები, ძნელათ შესაძლებელი იყო სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის გამოწვევა. სომხის პროლეტარიატი არა მარტო თავის თავს ვნებს ამგვარი ჩამოქმედებით, არა მარტო თვითონ ხდება ადვილათ საქცეველი ბურჟუაზიის და მთავრობის ხელში თავის შეუგნებლობით; იგი ამით ხელს უშლის რუსეთის რევოლუციას, იგი ხელს უშლის მის გვერდით მყოფ შეგნებულ პროლეტარიატის ყოველ ღონიერ ბრძოლას და მით ხდება ტორმუზი რევოლუციის, ტორმუზი მუშათა მოძრაობის განვითარების.

მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა, მასში კლასობრივი თვით-ცნობიერების შეტანა, ერთი მთავარ კითხვათაგანი უნდა იყოს კავკასიის სოციალდემოკრატიისათვის და მით უმეტეს სომხური ენის მცოდნე სოც.-დემ. მუშებისათვის.

როგორ უნდა მოვახერხოთ ეს?

უნდა ვიცოდეთ, რომ ის სომეხი მუშები, რომლებიც სომხურ ნაციონალურ პარტიებში იმყოფებიან, ჩვენ პროპაგანდას ყურს არ დაუგდებენ; მათთან მისვლა ძალიან გაძნელებულია, ვინაიდან ყოველიე არასომეხი მტრათ ყავთ მიჩნეული, სომეხი სოციალისტი კიდევ სამშობლოს მოღალატეთ არის აღიარებული. და ადვილი წარმოსადგენია, რომ დიდი ხალისით არ დაუგდებენ სოციალისტის ნალაპარაკევს ყურს. ამის უტყუარ საბუთს იძლევა სხვა მრავალ შემთხვევათა შორის საეკლესიო ქონების დაბრუნების შემდეგ ვანქის სობოროში პარაკლისის გადახდის დროს მომხდარი ინციდენტი, როცა ერთ ს.-დ. ცხვირ პირი ჩაამტვრიეს მხოლოდ იმის გამო, რომ მან სომხის ბურჟუაზია და სამღვდელოება გამკიცხა და თხოულობდა, რომ მადლობა რუსეთის მთავრობისათვის კი არ ეძლევნათ საეკლესიო ქონების დაბრუნების გამო, არამედ სომხის მშრომელი ხალხისათვის, რომელიც სისხლს ანთხევდა საეკლესიო ქონების ჩამორთმევის დროს მის შესანარჩუნებლათ.

საუკეთესო გზა, ჩემის აზრით, რომ სომეხ მუშებთან დაახლოვებულნი ვიყვნეთ და საშუალება გვქონდეს ერთმანეთს ჩვენი აზრები გავუზიაროთ,—ეს არის პროფესიონალურ კავშირების დაარსება და მასში ჩაბმა სომეხ პროლეტარიატის. ამ კავშირებს იგი არ გაურბის, რადგან არც იგია წინააღმდეგი მეტი ჯამაგირი აიღოს, ნაკლები იმუშაოს და სხვა…

აი ამის საბუთიც. ალექსანდროპოლში ამ რამდენიმე თვის წინათ დაარსებულ იქმნა პროფესიონალური კავშირი ალექსანდროპოლის დეპოს მუშების მიერ. ამ კავშირში შედიოდენ როგორც სოც. დ. მუშები, აგრეთვე დაშნაკცაკანები.

დაშნაკცაკანელები ამბობდენ: ჩვენ სოციალდემოკრატ. პოლიტიკური პროგრამით ვერ ვიბრძოლებთ, მაგრამ რაც შეეხება ხაზეინებთან ბრძოლას ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ამ მხრით კი გვერდში ამოუდგებით. ამგვარ კავშირებში ყოფნა მათ დაუახლოვებს სხვა ეროვნების მუშებს, სხვა და სხვა პოლიტიკურ მოძღვრების მიმდევარნი. მათი ერთად ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ, თანდათან მოსპობს ნაციონალურ შურს, მტრობას, და გაანვითარებს ყველა მუშების სოლიდარობას და ერთსულობას. როცა სოციალდემოკრატები მუშები მათთან ერთად არიან ამ კავშირებში მათი გავლენა თანდათან იზრდება სხვა მუშებზე და ფართო ნიადაგს პოულობს სოციალისტური მოძღვრების გასავრცელებლათ.

ამას გარდა არ უნდა გავუშვათ ყველა ის შემთხვევა როდესაც სომეხ ხაზეინს და მის სომეხ მუშებს შორის იჩენს თავს რამე უთანხმოება ეკონომიურ ნიადაგზე.

ამ კონფლიკტს ხელი უნდა შევუწყოთ და ვეცადოთ, რომ სომეხი ბურჟუა და სომეხი პროლეტარიატი ერთმანეთს დავუპირდაპიროთ. აი სწორეთ ასეთი შემთხვევები უფრო ადრე გააღვიძებენ მას კლასობრივ შეგნებას და მით ადვილათ შეაქცევს ის ზურგს თავის ხაზეინის მიერ შედგენილ პარტიებს.

ამგვარათ საჭიროა პროფესიონალურ კავშირების დაარსება და მასში სომეხ პროლეტარიატის ჩაბმა, პროფესიონალურ კავშირების შემწეობით მასთან დაახლოვება, ჩვენი გავლენის გაფართოვება და სოციალისტურ იდეების გავრცელება.

სომეხ ბურჟუას და სომეხ პროლეტარიატის დაპირდაპირება ეკონომიურ ნიადაგზე და მით გამოაშკარავება მათი ინტერესების წინააღმდეგობის, გაგვიადვილებს კრიტიკას სომხის ნაციონალურ პარტიებისა და ამ პარტიებიდან გამოთიშვას სომხის პროლეტარიატისას. სომხის პროლეტარიატი ისტორიულ შეცდომას თავიდან აიცდენს და მოწინააღმდეგე კლასის პარტიაში ყოფნის მაგივრათ თავის პარტიას მიაშურებს ე. ი. სოციალდემოკრატიულ პარტიას.

მუშა.

*) ამ ვაჟბატონებმა საქმეზე, მოქმედების მხრივ, მხოლოდ ძალდობით და მძარცველობით გაიცნეს თავი საზოგადოებას.

## პროლეტარიატის ინტერესები და საზოგადოებრივი განვითარება

(პასუხათ ს.-ფედერალისტებს)

II

ცნობილია, რომ ადამიანთა ყოველგვარი სოციალური უთანასწორობა მჩაგვრელობა და ტანჯვა-უბედურება აშენებულია მატერიალურ, ქონებრივ უთანასწორობაზე. ადამიანთა ქონებრივ მდგომარეობას კი იძლევა და აყალიბებს (საწარმოო საზოგადოებრივ ურთიერთობაში) საწარმოო ძალების მდგომარეობა (შრომის ნაყოფიერების ვითარება). კაპიტალისტურ წარმოების მეოხებით დღეს—ისე როგორც ყოველთვის მას შემდეგ, რაც ისტორიის თავი შეუსწავლია—კაცობრიობა ორ უმთავრეს ბანაკათ არის გაყოფილი: დაჩაგრულები—სიღარიბე-ტანჯვაში მყოფნი და დამჩაგვრელები, სიმდიდრე-ფუფუნებასა და სიამოვნებაში მყოფნი. მაგრამ კაპიტალიზმისაგან წარმოშობილი უაღრესათ განვითარებული საწარმოო ძალები უაღრეს დაუდგრომლობას აძლევენ დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას: ის სწრაფათ და შეუჩერებლივ წინ მიექანება. კაპიტალისტურ წარმოების ერთი სასიცოცხლო, ულმობელი კანონია ფული, მოგება, რაც შეიძლება მეტი ფული და მეტი მოგება; ამიტომ წარმოების, რაც შეიძლება, მეტი გაფართოება და განვითარება; ამიტომვე, რაც შეიძლება, მეტი და ფართო ბაზრები (მოგების გასანაღდებლათ). კაპიტალისტურ წარმოებას უსიკვდილოთ არ შეუძლია ერთ დონეზე შეჩერება; უსიკვდილოთ არ შეუძლია ერთ განსაზღვრულ ბაზრით დაკმაყოფილება. კაპიტალისტური წარმოება სწრაფათ ვითარდება, დღეს-დღეობით კიდევ ფართოვდება ბაზარიც. მაგრამ პირველი (წარმოება) უფრო სწრაფათ მიდის წინ, მეორე (ბაზარი) უფრო და უფრო ნელა ფართოვდება. და შორს აღარ არის ის დრო, როცა ბაზრის გაფართოებას საზღვარი უნდა მიეცეს, ვინაიდან ჩვენს დედა-მიწას საზღვარი აქვს.

დაწინაურებული ქვეყნები ადვილათ იმორჩილებენ უკან ჩამორჩენილთ. უფრო იაფი და უკეთესი საქონელი მათი უმთავრესი არტილერიაა. (მართალია საქონელ-სავაჭროს კაპიტალისტური ქვეყნები ხშირათ თან აყოლებენ ნამდვილ არტილერიასაც). მაგრამ დაწინაურებულთა უკან ჩამორჩენილ ქვეყნებზე გაბატონება წარმავალია ხოლმე. „ახალ“, განუვითარებელ მხარეში მიტანილი კაპიტალისტური ნაწარმოები უმალვე ძირს უთხრის და შალე სრულიად ამხობს ადგილობრივ მრეწველობას; ხელოსნებსა და გლეხობას სწრაფათ აპროლეტარებს, იწვევს საშინელ სიღატაკეს, მით რასაკვირველია ამცირებს მცხოვრებთა მსყიდველ ძალას, ე. ი. ავიწროებს ბაზარს. მეორე მხრივ, პროლეტარიატის გაჩენა, ეს—კაპიტალისტურ წარმოების უმნიშვნელოვანეს ფაქტორის შექმნაა. ამის გამო ადრე თუ გვიან უკან ჩამორჩენილ ქვეყანაშიაც უნდა გაჩაღდეს ადგილობრივი კაპიტალისტური მრეწველობა. ამ რიგათ, ბაზრების გაფართოება, ახალი ბაზრის შექმნა ნიშნავს ბაზრის შემცირება-შევიწროვებას და ბოლოს მის დაკარგვას. მაგ. ჩვენ ვიცით, რომ ამერიკა ჯერ კიდევ გუშინ ინგლისის მრეწველობის მოხარკე იყო, და დღეს შეერთებულ შტატებს არა თუ ხელში უჭირავს მთელი ამერიკა, არამედ იგივე შტატები ზუმხერახათ სდგანან საერთაშორისო ბაზარზე. იაპონია, ეს „მაკაკების“ ქვეყანა, სრულიად ბოლოში მიგდებული მხარე, დღეს უკვე ნამდვილი ევროპულ-კაპიტალისტური ქვეყანაა. ავსტრალია, აზია, ინდოეთი და თვით ჩინეთი დღეს თითქმის თვითონვე იკმაყოფილებენ თავიანთ საჭიროებას და იწვევენ საერთაშორისო ბაზრისკენ. რუსეთის იმპერიაც რომ—რა-კი დაეღწევს ბიუროკრატიულ-თვითმპყრობელობის ბორკილებს—გახდება შესანიშნავი კაპიტალისტური ქვეყანა და საერთაშორისო ბაზარზეც სათანადო ადგილს დაიჭერს, ეს ცხადზე უცხადესია.

ასე და ამრიგათ, ეს დედამიწა, ერთხელ თვალუწვდენელი, დღეს უკვე მეტ-ს-მეტათ პატარა არის (კაპიტალისტურ წარმოებისთვის). კაპიტალიზმი სასიცოცხლო ძალებს მჩქეფარე ისვრის, ანვითარებს და მით თავის თავსავე სამარეს უთხრის.

კაპიტალისტურ წარმოების რეგულიარიზაცია, განსაზღვრულ რიგზე, განსაზღვრულ ბაზარზე მუშაობა ყოვლად შეუძლებელია. ყველა ცალკე წარმოება არის დამოუკიდებელი, კერძო, რადგან კერძოა საწარმოო საშუალებათა (ფაბრიკა, მაშინები და სხ.) მესაკუთრეობა. თვითეული წარმოება (предпріятіе) სასტიკ კონკურენციის ატმოსფერაში ჩაყენებული, ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი ნაწარმოები დაამზადოს, მეტი მოგება აიღოს; აქედან უზომო ზედმეტ საქონლის დამუშავება, უბაზრობა, კრიზისები, გაკოტრება, უზომო სიმდიდრის და საწარმოო ძალების უნაყოფოთ გაფლანგვა; მეორე მხარეზე მწვავე სიღარიბე, სიღატაკე სიმშილობა და ათასგვარი ტანჯვა-ვაება. უსაქმოთ დატოვებული აუარებელი მუშახელი, „სათადარიგო მუშათა ჯარი“ მუდამ განუყრელია კაპიტალისტურ წარმოებასთან. გაკოტრებული წვრილი და მსხვილი „ხალხი“ ზრდის პარაზიტულ პროფესიებს სხვა და სხვა ჩარჩობა-შუამავლობას, მოსამსახურეთა რიცხვს. ულუკმაპურონი ზრდიან გარყვნილ გახრწნილთა ბრბოს, პროსტიტუციას და ათასგვარ ვაებას. ქვეყანას თავზე ატყდება უსაზღვრო სიღატაკე და უბედურება, იმიტომ რომ მას შეუქმნია აუარებელი სიმდიდრე, წყარო სიამოვნებისა. აუარებელი სიმდიდრე ლპება და დამშეულ ხალხს კი არ შეუძლია პური შეჭამოს, რადგან „პური“ კაპიტალისტების კერძო საკუთრებაა. ახალი სიმდიდრის შექმნა კიდევ მეტს უბედურებას, უფრო საშინელ კრიზისებს გამოიწვევდა, ამიტომ უშველებელი საწარმოო ძალები უმოქმედოთ უნდა იქმნას დატყვევებული.

დღეს კაპიტალისტები ვაი-ვაგლახის თავიდან ასაცილებლად ახელებენ სოციალურ რეფორმებს, არსებულ წესწყობილების დაპაჩინკებას, მარა ამაოთ. როგორც ამბობს მარქსი, კაპიტალიზმი ემსგავსება იმ ჯადოქარს, რომელმაც თავის „შელოცვით“ გამოიწვია ძლიერი ქვესკნელის ძალები, რომელთა დამორჩილება აღარ შეუძლია.

წარმოების საშუალებათ, საწარმოო ძალების განვითარებამ უკვე იმ წერტილამდე მიაღწია, რომ არსებული ფორმა საკუთრებისა, (კაპიტალისტური, კერძო საკუთრება) ვეღარ იტევს ამ ძალებს. კაპიტალისტური საკუთრება ბორკილებათ უხდება საწარმოო ძალებს, აფერხებს საზოგადოებრივ განვითარებას და ამიტომ ხანდისმითაც ძლიერათ არყევს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

კაპიტალიზმი წარმოშობა ისტორიულმა აუცილებლობამ. კაპიტალისტების კლასმა კაცობრიობას, მრავალ ტანჯვა-ვაებასთან, დიდი სიკეთეც მოუტანა. კაპიტალისტებმა შესანიშნავათ განავითარეს, არა-ჩვეულებრივ სიმაღლემდე ასწიეს საწარმოო ძალები; დღეს კი არამც თუ აღარ ავითარებენ, პირდაპირ აფერხებენ ამ ძალებს. დღეს კაპიტალისტები აღარავითარ საზოგადოებრივ ფუნქციებს არ ასრულებენ. ყველა მათ საქმეებს აკეთებენ დაქირავებული პირები: ადმინისტრატორები, დირექტორები და სხ. კაპიტალისტების კლასის მოსპობა, ე. ი. კაპიტალისტურ საკუთრების გაუქმება ისტორიული აუცილებლობითვე ხდება. კაპიტალისტები დღეს უკვე პატარა უმცირესობას შეადგენენ და მათი რიცხვი და ძალა მუდამ კლებულობს; ამასთანავე შეუჩერებლივ მატულობს და იზრდება რიცხვი და ძალა დაჩაგრულთა, ე. ი. მუშა ხალხის. როცა ეს ხალხი სავსებით შეიგნებს, რომ საფუძველი მისი მჩაგვრელობა-ექსპლოატაციისა არის კაპიტალისტური კერძო საკუთრება, მაშინ დაკრავს ჟამი სოციალური რევოლიუციისა. ამ შეგნებას მას უკარნახებს თვით ეკონომიური განვითარება.

ისტორიულათ საწარმოო საშუალებათა კერძო მესაკუთრეობის საფუძველია წვრილი წარმოება. ძველათ შრომის იარაღები, საწარმოო საშუალებანი იმდენათ პატარა იყო და მცირე, რომ ცალკე ადამიანი თვითონვე უძღვებოდა მთელ საწარმოო დაწესებულებას. მწარმოებელი თვითონვე ფლობდა თავის საწარმოო საშუალებათ, თვითონვე იყო თავის ნაწარმოების ბატონპატრონი. ინდივიდუალური (ცალკე მწარმოებლის) წარმოება საჭირო ხდიდა წარმოების საშუალებათა ინდივიდუალურ საკუთრებას. კაპიტალიზმმა წარმოშვა მსხვილი წარმოება, სადაც ერთათ შეკრებილია მრავალი მუშა ხელი, რომელთა შორის უმაღლეს წერტილამდეა მისული შრომის განაწილება. ცალკე მწარმოებელი (მუშა) არაფერია, ყველანი ერთათ აუარებელ სიმდიდრის შემქმნელი ძალაა. დღეს წარმოება უკვე საზოგადოებრივია. წარმოების საშუალებათა მესაკუთრეობა კი ინდივიდიალურია (კერძო). აი ეს წინააღმდეგობა თუ უკუღმართობა წარმოებასა და მესაკუთრეობას შორის საფუძველია თანამედროვე საზოგადოების ყოველგვარ წინააღმდეგობათა თუ უკუღმართობათა. არსებული საწარმოო საშუალებანი იმდენათ რთულია და უზარმაზარი, რომ მუშებს ცალკ-ცალკე არ შეუძლიათ მათი გაძღოლა, არ შეუძლიათ მათი გაყოფა და ინდივიდუალური დასაკუთრება; ეს სრულიად გააბათილებდა შრომის ნაყოფიერებას, მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას უკან დასწევდა და წარსულისაკენ, ბარბაროსობისაკენ დააქანებდა. თანამედროვე ტეხნიკის პირობებში წარმოსადგენია ან კაპიტალისტური საკუთრება—რაც უკვე არსებობს და მით აუტანელი ტანჯვა-ვაებას აყენებს კაცობრიობის დიდ უმრავლესობას—და ან საზოგადოებრივი საკუთრება სწორეთ ისე, როგორც უკვე საზოგადოებრივია თვით წარმოება. ესე იგი განსაზოგადოებრივება არის სოციალიზმის განხორციელება.

ამრიგათ თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას უდევს ისეთი ალტერნატივა (არჩევანი): ან უკან ბარბაროსობისაკენ და ან წინ სოციალიზმისაკენ. დღეს ბრმაყრუც კი ხედავს, რომ ცხოვრება უკან (სიკვდილისაკენ) არ მიდის, პირიქით ძალუმათ ისწრაფვის წინ, განვითარებისაკენ, სიცოცხლისაკენ. დღეს ამ წინმსვლელობის მებაირახტრეა საერთაშორისო პროლეტარიატი; მას წინ უძღვის სოციალდემოკრატიული დროშა, რომელსაც ზედ აწერია სოციალიზმი. თვით ეს საერთაშორისო მოძრაობა პროლეტარიატისა ორგანიული ნაწილია საზოგადოებრივი პროცესის (განვითარების).

ამრიგათ, თანამედროვე საზოგადოებრივ განვითარების ინტერესები ყოფილა სოციალიზმის განხორციელება; ამასვე ითხოვს კლასობრივი ინტერესები პროლეტარიატისა, რომელიც ამავე მიზნით ესწრაფვის ხელში ჩაიგდოს სახელმწიფო მთელი პოლიტიკური ძალა.

მაშასადამე, „დღეს პროლეტარიატის ინტერესები სავსებით ეთანხმება მთელი ქვეყნის განვითარების ინტერესებს“. და როდესაც ამ აზრის შესახებ ჩვენი ს.-ფედერალისტები გაიძახიან „ქართველი სოც.-დემოკრატები გამოფიტენ და დაშორდენ თავის პარტიის დედა აზრს, თავის პარტიის ძირითადი მუხლებიც კი ყირამალა გადაატრიალესო“, ამით ს.-ფედერალისტები ამტკიცებენ, რომ მათ არ გაეგებათ სოციალ-პოლიტიკურ საკითხების დედა-აზრები და რომ მათ ყველ ფერი, რაც კი წესრით სდგას, ყირამალა ეჩვენებათ, რადგან თვითონა სდგანან ყირამალა. მეტათ ... ხული მდგომარეობაა, სოც.-ფედერალისტების გასწორება ნიშნავს მათს გასოციალდემოკრატებას.

ლ. დ.

# ახალი ამბები

მკითხველებმა იციან, რომ **ტფილისის ნოქრები 22 მაისიდან გაფიცული არიან.** ამათ ამ დღეს შეს ფერი ფურცელი გამოსცეს. ფურცელში ნათლათ აწერილია როგორ ისარგებლეს აღებმა საზიზღარი რეაქციით და როგორ გამოაცალეს ხელიდან ნოქრებს სისხლით მოპოებული თავისუფლება. ფურცელში შემდეგი მოთხოვნილებებია წამოყენებული: 1. ცხრა საათის სამუშაო დღე; 2. მოსამსახურეების და თხოვნა და მიღება დამოკიდებული იყოს თვით მოსამსახურეებზე და არა ხაზეინებზე; 3. მოსამსახურეები უნდა ორ პარტიათ მორიგეობდენ, პირველი პარტია დილის საათიდან ნაშუადღევს სამ-საათამდი, ლო მეორე ნაშუადღევის სამი საათიდან ღამის თორმეტ საათამდე; 4. მოისპოს ხურჯინებით სამელების ზიდვა მოსამსახურეებისაგან ან სპეციალურათ ამ საქმისთვის უნდა ყავდეს დაქირავებული; 5. ზრდილობიანათ მოპყრობა მოსამსახურესადმი, როგორც ხაზეინებისაგან ეგრეთვე მუშტრებისაგან; 6. სუფთა და მშრალი ბინა, გიანი სადილი, ვახშამი და ჩაი შაქარი სადილის საჭმელათ განსაზღვრული დრო ერთი საათი; 7. ავათმყოფობის დროს ექიმი და ერთ თვეს ადგილის შენახვა ჯამაგირის გამოურიცხავათ; 8. ჯამაგირი ყოველ თვის ბოლოს; 9. მომატება ჯამაგირების ყოველ წელში ერთხელ მოსამსახურეთა მიხედულობით, განსაზღვრულ პროცენტებით

— გუშინ წინ 4-მდე ნოქარი და პატიმრა პოლიციამ. გუშინ კიდევ 25-მდე დააპატიმრეს.

— **გაფიცვები თითქმის მთელი ქალაქ მეოდო.** რკინის გზის სახელოსნოებისა და წვრილ ფაბრიკა-ქარხნებს გარდა თითქმის ყველგან გაფიცვაა. გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე წარმოებს. დაწვრილებით ცნობებს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

— 22 მაისს ვიღაც უცნობნი მისულ მეაფთიაქე ღიდზურაბოვთან და ჩვენი რევო ქციის სახელით ფული უთხოვიათ, ამ თვე ხედ ახალგაზრდებს. დაჭერა, სამწუხაროთ ვერ მოუხერხებიათ.

— 23 მაისს საღამოს 9 საათზე ელი ბედის ქუჩაზე **პოლიციამ დააპატიმრა** ს რუსეთის ქვეშევრდომი მალისინ-გებრე ლი, რომელსაც სამხარან ვინტოვკის რ ვოლვერის 234 პატრონი აღმოუჩნდა.

— 20 მაისს ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ განყოფილებაში **გარჩეულ თა დაუსწრებლათ გაირჩა საქმე** სტუდენტი გ. პაჩიკიანცის და შ. სანდროშვილის სა. პირველს აბრალებდენ ხალხში მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების გა რცელების და ბროშიურების გავრცელება ხოლო მეორეს—მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას. სასამართლომ პაჩიკიანცი გაამართლა, სანდროშვილი კი დამნაშავეთ იცნო და ექვსი წლით ციხეში ტიმრება მიუსაჯა.

— ტფილისის სამხედრო საკრებულ ცნობებით დღემდე ტფილისში ამა წლის თვის **ჯარში გასაწვევ ახალგაზრდათა** სი

...მა შეადგინა 672 კაცი, ამათში 440-ი ... მუშები; ებრაელები 12 ... ქრისტიანები 645 და სექტანტები 15.

✦ გუშინწინ, დილის 11 საათზე, ... წასული მთაწმინდაში (ყიფიანის ქუჩაზე) მცხოვრები 14 წლის ბავშვი ... ლიპარიძე და შემდეგ შინ აღარ მოსულა. მშობლები ძლიერ შეწუხებულნი არიან.

✦ 22 მაისს, დილის 8 საათზე, ...ქუჩაზე პოლიციელებმა **შეიპყრეს ერთი უცნობი** ახალგაზრდა, რომელიც წერილებით ფულსა თხოვდა და რევოლვერით ემუქრებოდა თფილისის მოქალაქე ...რინა მერაბოვისას. ახალგაზრდა აღმოჩნდა ქუთაისის მაზრის ს. მექვენის მცხოვრები ნ. ნოღაიძე.

✦ 22 მაისს ნაშუადღევის პირველ საათზე ...ის ქუჩაზე საკუთარ სახლში **თავს დაესხენ** და რევოლვერით დასჭრეს ... დიმიტრი სულაძე და მისი ცოლი. ბოროტ განზრახველთ სულაძის გაძარცვა ნდომებიათ, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ.

✦ 23 მაისს ...ლოლაკის ქუჩაზე პოლიციამ შეიპყრო ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები **სილიბისტრო ქოიავა**, რომელსაც 2 ფინური დანა და რევოლვერი აღმოაჩნდა.

✦ **ქალაქის მეპურეების განცხადება.** ამას წინათ მეპურეთა ამორჩეულებმა: პეტრე ობოლაშვილმა, მალაქია არჩვაძემ, ბართლომე პეტრიაშვილმა, სპირიდონ ბურდილაძემ და ვანო გიორგობიანმა შეაგროვეს მეპურეთა შორის 300 მანეთი ($1^1/_2$ მ. თითოსაგან) დაზარალებულთა სასარგებლოთ, მაგრამ ეს ფული ამ ვაჟბატონებს არავისთვის არ გადაუციათ. ის მათ თვითონ თავის „სასარგებლოთ“ გაფლანგეს. ამიტომ ვაცხადებთ ამ ვაჟბატონებს ნდობა დაკარგულებათ.

**კურსებზე მიმავალ ქალთა საყურადღებოთ.** პეტერბურგის უმაღლეს კურსების დირექტორმა, პროფესორმა რაევმა, გასული წლის დამლევს შუამდგომლობა აღძრა პეტერბურგში ქალთა თავისუფალ უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. 18 აპრილს სახალხო განათლების მინისტრმა აცნობა რაევს, რომ მას ნება აქვს გახსნას სალიტერატურო, ისტორიო და იურიდიული კურსები ქალთათვის. ეს კურსები გაიხსნება ახლო მომავალში. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ თხოვნით არ. რაევს: Петербургъ, Косой переулокъ, д. № 11. ამასთანავე საჭიროა მოწმობა გიმნაზიის, ინსტიტუტისგან ეპარქიალურ სასწავლებელის, წლოვანობის მოწმობა, ფოტოგრაფირლი სურათი და მარკები პასუხისათვის. თავისუფალ-მსმენელებათ მიიღებიან ისინი, ვისაც ცენზი არ აქვს. სწავლის ფული: 1-ლ წელიწადს, I სემესტრში—75 მან., მე II—50 მან. მეორე წელიწადში სწავლის ფული 100 მან. შემცირდება. კურსები, როგორც უნივერსიტეტში, ოთხ-წლიანი იქნება. ლექციებს უმაღლეს სასწავლებლის პროფესორები წაიკითხავენ.

✦ კვირას, 21 მაისს, პოლიციამ და ჯარის-კაცებმა პოლიცმეისტრის მარტინოვის თანდასწრებით **გაჩხრიკეს** დავიდოვის ქუჩაზე მელიქოვის სახლები და მაღაზიები. გაჩხრიკეს სახლების სახურავებიც. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს პისკუნის სამრეცხველოს. ერთ სახლში ორი ახალგაზრდა შეიპყრეს, მაგრამ მაშინვე გაანთავისუფლეს.

✦ 22 მაისს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში შესდგა კრება **თფილისის მეშჩანთა რწმუნებულებისა.** კრებაზე უნდა ამოერჩიათ მამასახლისი და ობოლთა სასამართლოსთვის ორი დეპუტატი. გამოცხადდა 60-მდე რწმუნებული.

✦ 20 მაისს ქალაქის ფერშალს, როცა ნავთლუღში მიდიოდა, 4 უცნობი კაცი დაეცა თურმე და 1000 მანეთი ფული წაართვა.

✦ გასულ შაბათს, საღამოს თერთმეტ საათზე, სახლში მიმავალ ფიდო გეროზაურს თავს დაეცა სამი კაცი; ერთმა ყელში ხელი წაუჭირა, მეორემ კი ამ დროს ჯიბიდან 4 მ. და 30 კაპ. ამოაცალა. ამის შემდეგ ბოროტმოქმედები გაქცეულან.

✦ „ლამპრის“ მე-19 №-ში მოთავსებული გვქონდა წერილი, რომელშიაც ვინმე „მუშა“ აბრალებდა ფუნიით მოვაჭრე მიხეილ ივანოვს, ანტონ კანტიძეს და დანიელ გერსიმოვს თითქოს მათ თავისი მუშები პოლიციაში დაებეზღებიოთ და ამ გვარათ მათი დატუსაღება გამოეწვიოთ. როგორც გამოირკვა ანტონ კანტიძეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ სამარცხვინო მოქმედებაში.

✦ 22 მაისს საღამოს 10 საათზე ვიღაც უცნობმა დასჭრა არტილერიის სამმართველოს გადამწერი ალ. სტანკევიჩი.

✦ 23 მაისს, ღამის 1-ლ საათზე, ვიღაც უცნობმა სამჯერ ესროლა რევოლვერი უბნის მეთვალყურე ლაზარევს, რომელიც ფუნიკულიორიდან ბრუნდებოდა. ლაზარევი არ დაშავებულა. უცნობნი მიიმალნენ.

✦ 19 მაისს ვორონცოვის ქუჩაზე იპოვეს დაჭრილი ... ჩითახოვის, რომელსაც ყელამდე ხანჯლის ჭრილობა აღმოაჩნდა.

✦ 22 მაისს საღამოს 6 საათზე ანდრეევის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა დასჭრა ამ. კავკ. რკინის გზათა უმაღლეს სახელოსნოს მუშა იოსებ დუბევი.

✦ 21 მაისს საღამოს 11 საათზე თფილისის სადგურის ჟანდარმს, ნიკიტა ხიტაევს, ელისაბედის ქუჩაზე თავს დაესხა რამდენიმე უცნობი და „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი წაართვეს.

✦ 22 მაისს ღამის 11 საათზე კიროჩნი ქუჩაზე გენეს საკანდიტეროს თავს დაესხა ორი შეიარაღებული უცნობი, რომელთაც საკანდიტეროდან 300 მანეთი გაიტაცეს და მიიმალნენ.

## სათათბიროს არჩევნები

**ბათუმი.** საარჩევნო ბრძოლის ველზე აქ ცხადათ მხოლოდ ორი პარტია გამოვიდა: სოციალ-დემოკრატები და კადეტები. ამ უკანასკნელებმა მიტინგების ნებართვა აიღეს. ამით ისარგებლა სოციალ-დემოკრატებმა და წრეებში პროპაგანდას თავი ...ანებეს, შესაძლებელი გახდა ბრძოლა ცხადათ აწარმოებიათ. გაიმართა ორი მიტინგი, რომელზედაც ორატორები, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები, კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდენ მოწინააღმდეგეთა პროგრამა-ტაქტიკას და საზოგადოებას თავიანთ პროგრამასა და ტაქტიკას უთვალისწინებდენ. თავიდანვე ეტყობოდა, რომ ბრძოლა სოციალ-დემოკრატების გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა. კადეტებს დავთარი დაებნათ. თავისი კანდიდატები სამჯერ შესცვალეს. ამით უმაყოფილოდ დარჩენ ზოგიერთი გამოცვლილი, თუ არ დასახელებულ კადეტები, კადეტობას თავი მაანებეს და ორ დღეში ფედერალისტებათ გადაიქცენ. წინათ კადეტების მხრით კანდიდატათ წამოყენებული იყო, სხვათა შორის, მემედ ბეგ აბაშიძე, მაგრამ როცა ის კანდიდატობიდან გამორიცხეს, ფედერალისტებმა ის თავის კანდიდატათ წამოაყენეს: საზოგადოთ ფედერალისტების როლი ბათუმის არჩევნებში უოვლად სამარცხვინო იყო. იგინი, დარწმუნებულნი მით, რომ ნამდვილ თავის სახელით ბრძოლის ველზე გამოსვლა მათთვის არ იქნებოდა ხელ საყრელი, რადგან ყველა არჩევნებში დამარცხებულ ფედერალისტებისათვის სახელი „ფედერალისტი“ მათ ვერაფერ ხეირს დააყრიდა, ნიღაბ ქვეშ დაიმალენ და ბათუმელ ამრჩეველთა „ამრჩეველთა ჯგუფის“ სახელით მოევლინენ. ორი დღით წინ არჩევნებამდე იმათ შემდეგი პატარა მოწოდება გამოსცეს: „ამრჩეველთა ჯგუფი ურჩევს ბათუმის მოქალაქეებს აირჩიონ შემდეგი პირები: გრ. ვოლსკი, გ. ჟურული, მემედ ბეგ აბაშიძე და ან. დეკანოზოვი“. ამ მოწოდებას ქვეშ ფსევდონიმათ ეწერა: ამრჩეველთა ჯგუფი! ასნაირათ ჩვენმა „სოციალისტ-ფედერალისტებმა „ნიღაბი აიფარეს და თავის ნამდვილი სახის გამომჟღავნება ვერ გაბედეს. ვერ გაბედეს გამოსვლა ვერც მიტინგებზე, თუმცა გასტროლიორებათ ქუთათური ფედერალისტები არჩევნებამდე ჩამობრძანდნენ აქ. ფედერალისტებმა პარტია კი არა, პიროვნებები წამოაყენეს საარჩევნო ბრძოლას ველზე და მათ პოლიტიკურ გახრწნილების მორევში შეცურდეს. ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას გარდა, ზოგიერთები მათ ამგვარ სამარცხვინო საქციელს მით ხსნიან, რომ ზოგიერთმა მათმა კანდიდატებმა, როგორც თფილ ადგილებზე დასკუპებულმა „ყველასაგან პატივცემულმა პირებმა“, ვერ გაბედეს „სოციალისტის“ სახელით გამოსვლა, რომ მათ რაიმე ხიფათი არ შემთხვევოდათ მათ კარიერას და აი ნიღაბ ქვეშ შეძვრენ „ყოველ შემთხვევისათვის“. რას იზამ, ასეთი ყოფილა ჩვენი „სოციალისტ-ფედერალისტების „სოციალისტობა! მიზნის მისაღწევათ აქაურ გაზეთის „ჩერ. ვესტ.“-ს მმართველობა შეუცვლეს, რედაქტორი გამოცვალეს და თფილისიდან „чего изволите“-ს კაცი გამოიწვიეს. არჩევნების დღეს „პრესის მიმოხილვაში“ სოციალ-დემოკრატების ლანძღვა გამოაცხვეს. მარა სოციალ-დემოკრატებიც არ ყოფილან ხელ-დაკრეფილნი. მოახერხეს და არჩევნების დღეს გამოსცეს გაზეთი („ბათუმის ფურცელი“), რომელშიაც კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს კადეტების საქმიანობა და ფედერალისტების სიყალბე, ჩამოაგლიჯეს მათ ნიღაბი და მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გამოაამჟღავნეს მათი თინები. ამ გაზეთის წერილები ისე დასწვდა გულზე „ყველასაგან პატივცემულ პირებს“, რომ ღონისაც დასვენებას არ აძლევს მათ.

დადგა არჩევნების დღე, 16 მაისი. ხალხი მიაწყდა ქალაქის თვითმართველობის დარბაზს, სადაც არჩევნები იყო დანიშნული. ახლა კი გამოჩნდენ ფედერალისტები თავიანთ კანდიდატების ბიულეტენებით ხელში და ამრჩევლებს ევედრებოდენ: ფედერალისტები აირჩიეთო.—რათ დაიმალეთ, ბატონებო, ნიღაბ ქვეშ, რატომ ცხადათ არ გამოდით ბრძოლის ველზე, „ამრჩეველთა ჯგუფის“ ფსევდონიმით რათ შეძვერით ხვრელში,—ეკითხებოდენ ამრჩევლები. მატომ რომ ერთი ჩვენი კანდიდატი ამბობს: სოციალისტი არა ვარ, ფედერალისტი ვარო და ჩვენ მატომ დავიფარეთ ფსევდონიმით,—უპასუხებდენ გზა-კვალ აბნეული ფედერალისტები. ჯგუფ-ჯგუფათ დაყოფილი ხალხი გულმოდგინეთ უსმენდა ქუჩაში ჩამდგარ მოკამათე ორატორებს: ფედერალისტების მიერ თავის პარტიის ქებას ხალხი სიცილით ეგებებოდა. უნდა შევნიშნოთ, რომ ფედერალისტების უმთავრესი არგუმენტი, სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ მიმართული, შეიცავდა მხოლოდ ერთ რამეს, ეს ერთი რაიმე არშაკ ბაბოვი იყო.—თქვენ არშაკ ბაბოვი აირჩიეთ, განა შეეფერის ეს სოციალისტებსო?—გაიძახოდენ სირცხვილ-ვი ფედერალისტები და კი არ წითლდებოდენ, როცა ხალხი უპასუხებდა: „ბატონო ფედერალისტნო, თუ არშაკ ბაბოვის კანდიდატათ წამოყენება სამარცხვინოა, ის არა სამარცხვინო, თქვენ რომ მთელ ორ ბურჟუაზიულ პარტიას დაუკავშირდით ნამდვილ სოციალისტურ პარტიას გასამტვრევლათო“. ფედერალისტთა ბაგეთაგან მაინც მხოლოთ ეს ორი სიტყვა გაისმოდა: არშაკ ბაბოვი, არშაკ ბაბოვი!. ბოლოს ისე მოსწყინეს ხალხს თავი ამ არშაკ ბაბოვით, რომ ხალხი ამ „დიად არგუმენტს“ ფედერალისტებისას ოხუნჯობით ეგებებოდა. ამაგ!! ეს არშაკ ბაბოვი რომ აღარ ყოფილიყო, მაშინ რაღას იზამდით, სხვა არაფერი გექნათ სათქმელი!.. და ბოლოს რაკი დარწმუნდენ ბ-ნნი ფედერალისტები, რომ მათ ღვთაებას გასავალი არ ქონია ბათუმში, ჩაწყნარდენ და როცა მიმართავდენ მათ—გამოდით ხალხში, ვკამათობთ—არ შემიძლია, დავიღალეო, იყო პასუხათ.

ცხადათ ჩანდა, რომ გამარჯვება სოც.-დემოკრატებისაკენ იყო, რამაც ფედერალისტებს თავზე მოსწყვიტა წელი და ყოველივე ხალისი დაუკარგა, ძლივს ღუღღუღებდენ: მიეცით ხმა ფედერალისტებსო!

ღამის 9 საათზე არჩევნები გათავდა. ყუთები დაბეჭდეს და ქალაქის ლომბარდის კასაში შეინახეს. არჩევნებმა მეტათ წყნარათ ჩაიარა. პოლიცია არ ჩანდა. ქალაქის თავს ისე მოეწყო საარჩევნო დარბაზი, რომ სიყალბის ჩადენა, ან ამრჩეველთა შეჯგუფება შესვლა-გამოსვლის დროს, შეუძლებელი იყო. მიხვიდოდით განსაკუთრებული გზით ყუთამდე და გამოდიოდით მეორე გზით. საზოგადოთ ცხადათ ჩანდა, რომ არჩევნებს გამოცდილი ხელი ხელმძღვანელობდა.

მეორე დღეს დილის ცხრის ნახევარ საათზე შეიკრიბენ ასისტენტები და შეუდგენ ხმების თვლას, რამაც საშუადღევოს სამ საათამდე გასტანა. ხმას დიდი უმეტესობით გაიდენ სოციალ-დემოკრატები. არჩევნებს დაესწრო 996 ამომრჩეველი. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს: ალ. ნ. პატიღოვმა 654 ხმა, ნ. ალ. ალხაზიშვილმა—617, გ. ა. გოგოლაძემ—600 და მ. გ. კალანდაძემ—606.

ფედერალისტებმა: გრ. ი. ვოლსკიმ—203. გ. დ. ჟურულმა—185. ან. დეკანოზიშვილმა—161 და მემედ-ბეგ აბაშიძემ—168.

კადეტებმა: დალმა—165, ხუდადოვმა—114, სულეიმან-ბეგ-ტუღუშმა ზადემ—36 და აგაპოვმა—64. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს სულ 2477 ხმა, ფედერალისტებმა—717 და კადეტებმა—414.

ასე ჩაფლავდენ ბათუმშიაც ჩვენი ფედერალისტები. და ჩაფლავება ესე იყო და არს მათთვის ფრიად მწარე. ასე დაიმსხვრა კერპი ბათომისა გრ. ვოლსკი.

## სოციალდემოკრატების გამარჯვება თფილისში.

(გადმოთარგმნილია „ნევსკაია გაზეტა“-დან)

ჩვენ განსაკუთრებულ სიხარულით ვულოცავთ გამარჯვებას კავკასიელ ამხანაგებს მრავალ მიზეზთა გამო.

სოციალდემოკრატიულ გაზეთ „კვალის“ რედაქტორათ ნამყოფ ნოე ჟორდანიასა და სხვა ამხანაგების დეპუტატებათ არჩევით სახელმწიფო დუმაში პირველათ შევლენ ადგილობრივ ორგანიზაციათაგან დასახელებულ სოციალდემოკრატიულ პარტიის ნამდვილი წარმომადგენელნი.

მათის გავლენით მუშათა ჯგუფი სათათბიროში თანდათან შეიქნება მუშათა კლასის ინტერესების ნამდვილი, ჭეშმარიტი წარმომადგენელი. ეს კი შექნის ხელსაყრელ ნიადაგს, რომ უფრო მარჯვეთ იქნას გატარებული პარტიის შემაერთებელ სიეზდზე მიღებული ჩვენი ტაქტიკა სახელმწიფო სათათბიროს მიმართ.

ბრწყინვალე გამარჯვება კავკასიელ სოციოლდემოკრატებისა მეტათ მნიშვნელოვანია კიდევ იმიტომ, რომ იგი ერთის დაკვრით არღვევს ეგრეთ წოდებულ ბოიკოტის ტაქტიკას. კავკასია ეკუთვნის იმ მხარეთა რიცხვს, სადაც სამხედრო და პოლიციური თავგასულობა და თვითნებობა უფრო მეტის სიმხეცით იქნა გამეფებული. მდგომარეობას აძწვავებდა კიდევ ნაციონალისტური განხეთქილება, რომელიც განუწყვეტლივ ფართოვდებოდა რეაქციის აგენტების მიერ. ყველა ამან ხელი ვერ შეუშალა სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციებს გამარჯვება მოეპოვებია როგორც თვითმპყრობელ ბიუროკრატიაზე, აგრეთვე ყველა ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ პარტიებზე. რამდენ გამარჯვებას მოიპოვებდა კიდევ სოციალდემოკრატია, რომ მუშა ხალხისთვის გზა-კვალი არ აებნიათ ბოიკოტის მომაკვდინებელ პროპაგანდით, და რამდენათ უფრო ხელსაყრელი იქნებოდა ეხლა ჩვენი პოზიცია სათათბიროში; კადეტთა ძლიერი ბანაკი იძულებული იქნებოდა ანგარიში გაეწია სოციალდემოკრატიულ ფრაქციისთვის, რომელსაც მედგრათ დაიცავდა საარჩევნო კამპანიაში გაძლიერებული ხალხის მასსა. და უეჭველათ კი ეს ფრაქცია იქნებოდა მთელი ქვეყნის თვალში ერთად-ერთი მედგარი დამცველი დემოკრატიულ მოთხოვნათა, თუ რომ კადეტები,—როგორც ამას ბევრი ფიქრობს,—დაუახლოვდებოდენ ოქტომბრის ცენტრს მომაკვდავ რეჟიმთან მორიგების შესაკვრელათ.

კავკასიელ სოციალდემოკრატების გამარჯვება განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის, რადგან ეს გამარჯვება ბუნებრივი შედეგია იმ ჭეშმარიტი სოც.-დემოკრატიული პოლიტიკისა, რომელსაც ისინი უკანასკნელ წლების განმავლობაში ეწეოდენ.

კავკასიელი სოციალდემოკრატები ყოველთვის მხურვალე მონაწილეობას იღებდენ ადგილობრივ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების მოვლენებში და ყოველი ასეთი მოვლენით სარგებლობდენ ხალხის პოლიტიკურათ აღზრდისა და ორგანიზაციისათვის. მთელს რუსეთში, მგონი, მხოლოდ კავკასიელ ამხანაგებმა გამოიყენეს მეტათ ფართოთ 18 თებერვლის უკაზი სოციალდემოკრატიულ პროპაგანდისა და აგიტაციის გასაწევათ. ყოველგან, ყოველთ მიყრუებულ კუთხეებშიაც კი ისინი მართავდენ კრებებს, რომლებზედაც სოციალდემოკრატიულათ არჩევდენ და წყვეტდენ კითხვებს სახელმწიფო წეს წყობილების გადაკეთების შესახებ. არა-ნაკლები სიმარჯვით გამოიყენეს მათ ის თათბირები, რომლებიც ვორონცოვ-დაშკოვმა გამართა, (როდესაც პირველათ სვიატოპოლკ-მირსკიმ „გაზაფხულის“ დადგომა გვაუწყა) გადამტერებულ ერების დასამშვიდებლათ და საერობო თვითმართველობის შემოსაღებათ.

არ ყოფილა არც ერთი ფაქტი ადგილობრივ ცხოვრებაში, რომლითაც არ ესარგებლნათ მათ თავისი ორგანიზაციის გასაფართოებლათ და გასაძლიერებლათ. და როდესაც ადგილობრივ ბიუროკრატიას ძალა აღარ შესწევდა ბოლო მოეღო მის მიერვე გამოწვეულ ეროვნულ ბრძოლისათვის, ის იძულებული გახდა დამშვიდების საქმე გადაეცა იმ პარტიისთვის, რომელიც ხალხის თვალში უცილობელ ავტორიტეტით სარგებლობდა, სახელდობ სოც.-დემ. პარტიისათვის, რადგანაც მხოლოდ ის იყო მოკლებული ეროვნულ და შოვინისტურ ცრუმორწმუნეობას.

ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ, როდესაც ხალხს თავისი წარმომადგენლები უნდა გაეგზავნა სათათბიროში, რომელნიც მათი ინტერესების ჭეშმარიტი დამცველნი, ხალხის თავისუფლებისათვის ნამდვილი მებრძოლნი უნდა ყოფილიყვნენ, მან აირჩია იმ პარტიის კანდიდატები, რომელიც ყოველთვის მედგრათ იცავდა მათ ინტერესებს? კადეტებს იმიტომ კი არ ირჩევდენ სხვა ადგილებში, რომ მათ ენდობოდენ, არამედ მიუხედავათ იმისა, რომ მათ არ ენდობოდენ, რადგანაც მხოლოდ ისინი, სოციალდემოკრატიის არჩევნებიდან ჩამოშორების გამო, აფრიალებდენ ბრძოლის დროშას ძველ წეს-წყობილების წინააღმდეგ. კავკასიაში კი არჩევნების ასპარეზზე გამოვიდა ის პარტია, რომელიც ყოველთვის იბრძოდა თავისუფლებისა და ყრთა ინტერესებისათვის—და ხალხმაც მას მისცა თვისი ხმა.

და მერე რა ერთსულოვნებით!

იმ ქალაქში, სადაც მუშები შეადგენენ მცხოვრებთა მცირე ნაწილს, 90 პროც. ამომრჩევლებისა—ს.-დემოკრატები არიან. აშკარაა, რომ სოციალდემოკრატიულ პარტიას წვრილ ბურჟუაზიის ფართო მასსის ნდობა დაუმსახურებია.

დიდ, ბრწყინვალე გამარჯვება კავკასიელ სოციალდემოკრატებისა გაკვეთილი და მაგალითი გახდეს მთელი პარტიისათვის, რომელსაც პატივი აქვს თავის რაზმებში ასეთი წევრები ყავდეს.

## პროვინცია.

**სოფ. ჩოჩხათი** (გურია). 5 მაისს ამ სოფელში მობრძანდა თავის ამალით ოზურგეთის მაზრის უფროსი ტატიანჩენკო. წინა დღით, ე. ი. 4 მაისს ჩოჩხათის კანცელარიაზე მოვიდა მაზრის უფროსიდან მოწერილობა, რომ 5 მაისისთვის გაგვემზადეთ სადილი: ორი ფუთი ხორცი, ორი ფუთი ღვინო, ორ ფუთ-ნახევარი პური. რასაკვირველია, მამასახლისმა სადილი, მოწერილობისამებრ გამზადა. ჩამოვიდა თუ არა მაზრის უფროსი, წინეთ მწერალი შეიხმო ოთახში და სადილი კითხა; მწერალმა მაუგო, როგორც იყო მოწერილობა, ისე გავაკეთე ყველაფერით. მაზრის უფროსმა მოწერილობა თუ ცხოვა—ასეთი მოწერილობა არ შეიძლებოდა; მწერალმა, მოწერილობა უჩვენა; მაშინ მაზრის უფროსმა სთქვა: ეს ჩემს მწერალს გამოუგზავნია, მოიტეცი აქ მაგი, იმ მამ.... თავზე უნდა დავახიოვო. ასე ამ გვარათ გამოართვა მწერალს ეს მოწერილობა, ჩაიდო ჯიბეში და მიმართა ხალხს: ჩემი ჩამოსვლის მიზეზია სახელმწიფო მიწის ბაჟებიო; მამასახლისმა უთხრა ეს ბაჟები ამ საზოგადოებას უკვე გადახდილი აქვსო. მაშინ მაზრის უფროსმა ხალხს მადლობა გადაუხადა და შემდეგ მამაშვილურა სიტყვებით მიმართა: ნუ აყვებით უწვერ-ულვაშო კაცებს, ისინი თქვენ გატყუილებენ, თქვენთვის კარგი მხოლოდ ხელმწიფეს სწადია; აი მან კიდეც მოიწვია სახელმწიფო სათათბირო,—ჯერ უცადეთ იმას და თუ იქ არაფერი არ გაკეთდეს—მაშინაც კი მოესწრებით იმას, რაც თქვენ გწადიათო. შემდეგ სადილი მიირთვეს; სადილის შემდეგ მამასახლისმა საზოგადოების სურვილისამებრ მოსთხოვა მათ სადილის ფასი, რაიც უდრიდა თორმეტ-ერთ მანეთს. ამაზე პასუხათ მიიღო: ეხლა ფული არ გვაქვს, ანგარიში წარმოადგინეთ ბოქაულთან და ფულს მიიღებთო; ანგარიში ხელათ გაგზავნეს, მარა ფული ჯერ არ მიუღიათ. ეხლა გავიგე, რომ საზოგადოება დეპუტაციის გაგზავნას აპირობს ამ ფულების მოსათხოვათ.

დეზერტირი.

—

**სოფ. ანაგა** (სიღნაღის მაზრა). სწორეთ გაამწარა ჩვენი ისედაც გამწარებული ცხოვრება პეტრე დარჩიაშვილმა და ვანო ვაჩნაძემ. დათარეშობენ ეს ემაწვილები სოფელ-სოფელ ოთხი სტრაჟნიკის თანხლებით და აწიოკებენ ისედაც დარბეულ გლეხებს. „ფოშტის ფული“ ისეთი დაუსრულებელი გადასახადია, რომ ადვილათ ვერვინ მორჩება. თუ ამ ვაჟბატონებს გლეხი სახლში დაუხვდა, ვაი მისი ბრალი, ხოლო თუ შინ არ დარჩა, თათონ ამტვრევენ კარებს და მ აქვთ, რის წაღებაც შეიძლება.

პოლიციელი ფხიზელი რა არის, მთვრალი რა იქნება. ეს აღნიშნული რაინდებიც ძლიერ ხშირათ იმეთფებიან ბახუსის სამთავროში და აბა მაშინ გადაურჩეს ვინმე. ამ წინაზე, ერთი გლეხი, რომელსაც ნახევარი „ფოშტის ფული“ უკვე გადაეხადა—გადაეყარა გზათ მიმავალ რაინდებს, რომლებიც რასაკვირველია მთვრალნი იყვნენ. დაიჭირეს საბრალო გლეხი, ჯერ თითონ იჯერეს გული და შემდეგ კანცელარიისაკენ წაიყვანეს, სადაც გზირებმა დაასრულეს დაწყებული საქმე. საწყალი ილო დარჩიაშვილი ისე არის ნაცემი, რომ არ ვიცით გადარჩება თუ არა.

ეს ზემოხსენებული ემაწვილები არაფერში არ ინდობენ გლეხებს და თუ რამ აბადიათ ყველაფერს ხელიდან აცლიან. მაგალითათ, შეაძრობენ წელზე ვერცხლის ქამარს, ამოართმევენ ჯიბიდან საათს (რასაკვირველია თუ აღმოაჩნდა ასეთი ნივთები) შემდეგ ლაზათიანათ მიბეგვავენ და გაიტუმრებენ. შინაურ ცხოველებს მუსრს ავლებენ. გაიგებენ თუ არა გლეხები, რომ ეს დამრბევი ბრბო მიდის, აქეთ-იქით იფანტებიან შიშისაგან; რასაკვირველია ქალებიც იმალებიან, რადგან მათრახებს არც იმათთვის იშურებენ შემთვრალი ემაწვილები. სადილებსა და საუკეთესო ღვინოს სხვა უნდა აქ მოითხოვენ და ბიჭო ხარ ნუ გაუმზადე?!

ასეთია მაიი მოქმედება არა მარტო ანაგაში, მთელს ახლო-მახლო სოფლებში და ქიზიყელების დაუსრულებელი მოთმინება რომ არ ვიცოდე, სწორეთ გაკვირდებოდა ამ ვაჟბატონების ასეთი თავაშვებული თარეში.

მგზავრი.

## წერილი გურიიდან.

ორი მქადაგებელი.

რეაქციამ ჩვენშიაც სხვანაირათ დაატრიალა ცხოვრების ჩარხი. დღემდე თუ ს.-დ. უდგენ ჩვენ ცხოვრებას სათავეში, ახლა რეაქციის დამქაშებსაც აუშალა სადერდელი, ერთი მხრით კრილოვ-ტატიანჩენკო-მგელაძეები თოფ-ზარბაზან-მათრახებით ხალხს შიშის ზარს სცემენ, რითაც სურთ მოსპონ მათში რევოლიუციონური სული და ყოველივე ის რწმენა, რაც „ახალი თაობის“ ხალხის გულში ჩაუნერგავს, მარა საზიზღარი მთავრობა ამასაც არ ჯერდება, ის სხვა და სხვა ხაფანგებს აგებს, რომ ხალხი იდეიურათაც შებოჭოს. ამ მიზნით ჩვენში შედგა ახალი ჯგუფი პროპაგანდისტ-აგიტატორებისა. ესენი ჩვენებური შავი რაზმელების (პატრიოტები) მამამთავრები არიან (ალბათ პეტერბურგის პატრიოტთა ჯგუფს წაბაძეს). მართალია, ჯერ-ჯერობით პროპაგანდისტების რიცხვი მცირე ყავთ, მარა ამით გულს არ იტეხენ და ბრწყინვალე მომავალს მეხარიან. არ გეგონოთ, მკითხველო, ესენი ვინმე ბიჭ-ბუჭები იყვნენ, არა ეს როლი თვით ბლადებმა იკისრეს, მართალია ჯერ ეძნელებოდათ ამ ახალ როლში გამოსვლა, მარა ლასძლიეს სიძნელეს. ჩვენ, მოხუცებულებს უფრო არ უნდა დაგვეჯერონ, ჯკუა ჩვენ არ გვაქვს და ჩან-ტუმლაკები, სჯობია ჩვენ თითონ გვქადაგოთ ხალხს. თქვეს და შეუდგენ საქმეს. შეიძლება, მკითხველი ცნობის

მოყვარეობამ დასძლიოს და ამ ორი გმირის ვინაობის გაგება სურდეს, ესენი არიან ყველასაგან ცნობილნი საზოგადო მოღვაწენი. პირველი ჩინოსან-ტემლაკოსანი, ტახტის და სამშობლოს ერთგული *), თავისუფლების დროს ჩამომჭკნარი, რეაქციის დროს კი ჩასუქებული (მასი სიღუვება), რომელსაც თავი მოაქვს იმით, რომ ერთი ძმა ღენერალ-გუბერნატორი ჰყავს და მეორე ისტორიკოს-ფილოლოგ-პედაგოგი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ისტორია ხუთი თითივით იცის (მასიღე სიტყებია, ციდის-წამება არ გეგონოთ) ბ-ნი ნიკოკი; მეორეს ბიოგრაფია უფრო რთულია: ნაბერალ-ნადიაკ ნარსაპრიჩედნიკარ-ნაურიტლარი (სემინარიაში იყო ქართული ენის მასწავლებლად), განიაზებული (ვიტეს ჰყავს ამაში), დღეს კი მართლ-მადიდებელ ეკლესიის ჯამაგირიანი მისიონერი ბ-ნი მელქისედეკი. ეს ორი ვაჟბატონი, ხელი-ხელ გადაჭრილი დადიან სოფლიდან სოფელში და პროპაგანდას ეწევიან. აი ნიმუში მათი ქადაგებისა: ადის ტრიბუნაზე ბ-ნი ნიკოკი სტრაჟნიკებით გარშემორტყმული, რომელსაც მეთაურობს ცნობილი მგელაძე. იწყებს ასე: მოგმართავ თქვენ, ჩემსავით მოხუცებულებს, თქვენ მაინც რამ შეგშალათ, რამ დაგიბნიათ ჭკუა-გონება, რომ იმ მაწანწალა „უაზილარებს“ აჰყევით და ქვეყანა ამნაირ განსაცდელში ჩააგდეთ. აბა სად რიან ეხლა ის მატყუარანი, თუ ბიჭებია გამოვიდნენ და გამამტყუნონ, ან მაჯობონ ლაპარაკში, გეფიცები პატიოსნებას და ქრისტე ღმერთს, ხელსაც არ გახლებ. ახლა არ მკითხავთ საიდან ვიცოდი მე, რომ ეს დაგემართებოდა? იქიდან რომ ამ თავში (ხელს იდებს თავზე) ჭკუა მაქ, ჭკუა, მახვდით, დამიჯერეთ მე და ყოველივე უბედურება აგშორდებათ, მთავრობა მამაა ჩვენი, თუ არ გაგვაჯავრებთ, კეთილი სურს ჩვენთვის და ჩვენთვის ზრუნავს. მაშ ძირს ქვეყნის მატყუარა სოციალ-დემოკრატები!

შემდეგ ტრიბუნაზე ადის მეორე ორატორი ახლათ გამომცხვარი მისიონერი მელქისედეკ: ქრისტეს საყვარელნო ძმანო! გხედავ დღითი დღე რომ ქრისტიანობა სუსტდება, ყველა ეს სოციალდემოკრატების ბრალია. მე მარქსის კაპიტალი წაკითხული მაქ (რუსული არ იცის და ნეტავი რომელ ენაზე წაიკითხა ჩვენმა მისიონერმა) კაპიტალის მეხუთე ტომში (ალბათ საიქიოს ყოფილა და მარქსს თითონ უჩვენებია იქ დაწერილი კაპიტალის მეხუთე ტომი). მე 123 გვერდზე ქვევიდან მერვე სტრიქონზე სწერია: „მართალია ქრისტე ღმერთი არ იყო, მარა საღმრთოებელი კაცი იყო და ყველა მისი სიტყვა უნდა გირწმუნოთ“. მეც მარქსის აზრისა ვარ, მე ახალთაობის კაცი ვარ, დაემორჩილეთ ეკლესიას და მთავრობას, გეშინოდეთ ღვთისა, დაუჯერეთ ჩვენ კეთილის მყოფელს ბ-ნ ნიკოკის, ზურგი აქციეთ ს.-დემოკრატებს და ღმერთიც იქნება თქვენი მფარველი. ამინ. ბნელი ძალების მოტრფიალენი ტაშის ცემით და ურას ძახილით აჯილდოვებენ ორატორს, ხოლო ხალხი კი სდუმს.

აი ასეთი ჯურის პროპაგანდისტ-აგიტატორები მოევლინენ დღეს გურიას, მართვენ მიტინგებს, (რასაკვირველია პოლიციის დახმარებით), რომელსაც საკმაო რიცხვი ესწრება, თუ არ დაესწრო ვაი მისი ბრალი. ხომ იციან გამოცდილებით, რომ პროპაგანდისტის გზა ეკლიანია, ვაი თუ რეაქციამ მოასწრო და მაშინ რას აპირებენ, როგორც დღეს ს. დ. პროპაგანდისტებს ადგია ის დღე დაადგება, უარესი თუ არა.

კასიო.

## მუშათა შორის

**თფილისის საკანდიტეროებში.** საზოგადოთ ძნელია ისეთი ხაზეინის მოძებნა, რომელსაც ეს რეაქცია გულის მალამოთ არ მოხდენოდეს, გათამამებულ მუშებისათვის მუჯლუგუნი არ ეკრას და რადა მაინცა და მაინც კანდიტერთა შორის არ გამოჩნდებოდნენ ასეთები?

აი თუნდა ავიღოთ საკანდიტერო „ვიქტორია“-ს პატრონი, რომელიც აგერ 15 დღეა გაფიცულ მ-სამსახურეებს ვერ მორიგებია და ათასგვარ ხაზეინურ საშვალებას მიმართა მუშების დასამარცხებლათ. საქმე იმაში იყო, რომ მარტინ გვეორქოვმა მოისურვა უმიზეზოთ ერთი მუშის დათხოვნა. ამხანაგებმა ამისი ნება არ მისცეს და ხაზეინის ასეთ საქციელს გაფიცვით გასცეს პასუხი. ეს ის გვეორქოვია, რომელიც წინათ მუშების კლუბში იძახოდა და „მეც სოციალისტი ვარო“ გაიძახოდა. შეიძლება გვეორქოვი მართლა სოციალისტი იყოს, მაგრამ ასეთი სოციალისტი კანდიტრის ხაზეინი თუ შეიძლება. ახლა ეს „სოციალისტი“ მეეზოვესა და რაზნოშჩიკს აცხობიებს პურს, როცა ნამდვილი მუშები უსაქმოთ ქუჩაში დადიან. ამბობენ გვეორქოვმა პოლიციასაც მიმართა დახმარებისათვისო, თუმცა ამგვარი „სოციალისტისაგან“ მეტსაც უნდა მოველოდეთ.

ასალო.

*) ხალო ლიბაურის საზოგადოების, რომელსაც ეს „პატიოსანი“ პირი ეკუთვნის—შემოქმედელი და თავს-ლაფ-დამსხმელი.

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა.

—

**აკოფოვის ლიმონათის ქარხანა.** ამ ქარხანაში 30 კაცამდე მუშაობს, მაგრამ ძნელათ მოიძებნება ისეთი დაბეჩავებული ხალხი, როგორიც აქ მოუყრია თავი. ბნელი, ბინძური და დახუთული სამუშაო შენობა ნოტიო ცემენტის იატაკით, ჯანს უსპობს და სიცოცხლეს უმოკლებს ისედაც დაშინებულ აკოფოვის მუშებს. მიზეზი მუშათა ამგვარი მორჩილებისა ის არის, რომ აკოფოვი ხერხიანი კაცია ერთი საშუალება გამოიგონა, თუმცა ეს ალბათ სხვებმაც იციან. სახელდობრ: ის ხოლერასავით გაურბის ქალაქელ მუშას, სულ სოფლიდან ჩამოსულს ეძებს. ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, სანამ გამოეჩვევა და თვალებს ამოიფშვნეტს შეძლების და გვარათ მორჩილია. ასეთ მუშას გულკეთილი ალა კვირეში სამს ან სამ მანათ ნახევარს აძლევს, რომ მარტო პურით მაინც აღიდგინოს ქარხანაში დახარჯული სამუშაო ძალ-ღონე.

მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ ერთი დრო არავის შერჩენია. აქაურმა მუშებმაც იგრძნეს თავისი უბედურება და ერთ მშვენიერ დღეს ალას ცოტაოდენი შეღავათები და აუტანელი ცხოვრების გაუმჯობესება მოსთხოვეს. მოთხოვნილება სულ უმნიშვნელო იყო. სახელდობრ: 1) სამუშაო ადგილის ჰიგიენურათ გაუმჯობესება; 2) ალის ზრდილობიანი მოპყრობა და 3) ჯამაგირის მომატება.

გაიგო თუ არა ეს ამბავი ბ-ნმა ალამ, დიდათ განრისხდა. გაფთრებული ლანძღვაგინებით მიიჭრა მუშებთან და ცემა ტყეპით გაყარა სამუშაოზე, თანაც დაემუქრა: „რიგიანათ იმუშავეთ, თორემ ციხეში გამოგალპობთო“. მორჩილი ხალხი ცემა-ტყეპის შემდეგ ისევ მუშაობას შეუდგა და დაშოშმინებული ალა თავის გზას გაუდგა.

ასე ადვილათ და ერთი შეტევით იმარჯვებენ, ამხანაგებო, ჩვენზე გალაღებული ალები, როცა ხედავენ, რომ ჩვენ შეგნება და კავშირი გვაკლია. ჩვენ ზრდილობიან მოპყრობას ვთხოულობდით, და იმან კი ცემატყეპით შეგვყარათ ოთახში. ეს იმიტომ, რომ იცოდა ასეთი შემოძახებით თქვენი გატეხა შეიძლებოდა. ნუ თუ მეტი არ არის ჩვენი ძალა? ნუ თუ ალის შემოყვირებამ უნდა აგვაღებინოს ხელი იმ სამართლიან მოთხოვნებზე, რომლებიც ჩვენ წარვადგინეთ? მაშ რა არის ჩვენი სისუსტის მიზეზი? შეუგნებლობა, შეუგნებლობა და კიდევ შეუგნებლობა. საჭიროა მტკიცე კავშირი და შეერთებული ძალა.

ვანო.

## რ უ ს ე თ ი

გამოურკვეველმა მდგომარეობამ და ხმებმა ამნისტიის შესახებ საბოლოოთ აუშალეს ტუსაღებს ნერვები. **ტუსაღები საშინელ მდგომარეობაში არიან.** რამდენიმე კაცი ჭკუიდანაც შეშლილა გამოურკვეველი ხმების შთაბეჭდილების ქვეშ. 12 მაისს ტუსაღებამდის მიუხწევია ხმებს, რომ ამნისტიას არ აცხადებენო. ამ ამბავს საზარელი შთაბეჭდილება მოუხდენია მათზე. ისინი ერთი კარებიდან მეორეში ერთმანეთს გამოლაპარაკებიან და გადაუწყვეტიათ, მოითხოვონ სატუსაღოს ადმინისტრაციისაგან საერთო კრების გამართვის ნებართვა თავის მდგომარეობის გამოსარკვევათ. უმრავლესობა ფიქრობს მოითხოვოს დაუყოვნებლივი განთავისუფლება, თუ ამ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ,—გამოცხადებულ იქნას საერთო შიმშილობა.

— 11 მაისს, მოსკოვის სატუსაღოდან ციმბირში გაუმგზავრებიათ ყოფილი შლისელბურგელები: **საზონოვი, კარპოვიჩი, სიკორსკი, მელნიკოვი და გერშუნი.** როგორც გუშინდელი დეპეშა გადმოგვცემს—ესენი მიუყავთ ქ. ნ ერჩინსკში (კატორღაში).

**აგრარული მოძრაობა** თანდათან ძლიერდება რუსეთში: „P. C.“-ს ატყობინებენ ქ. ატკარსკიდან, რომ სოფელ ოსიცოვსკში გლეხებს თავადი კურაკინის უზარმაზარი მამული გადაუწვავთ.

— ვოლგაზე თურმე შემზარი სამწუხარო ამბები ხდება: შიმშილობისაგან გამწარებული გლეხები ეშურებიან ვოლგის ნაპირებზე სამუშაოს საძებნელათ და დიდ უსიამოვნებას იწვევენ მუშების მხრით, რადგან თანხმდებიან ნაკლებ ხელფასში მუშაობაზე და ამით მუშებს ხელიდან სტაცებენ ლუკმა-პურს. კონტორნში (ვიზანის გუბერნია) უკვე მოხდარა მათ შორის შეტაკება. მუშები გაფიცვას აპირებენ.

— ხარკოვში, ორთქლმავალის საკეთებელ ქარხანაში მუშებს მიტინგი გაუმართავს. ქარხანას ჯარი შემოარტყეს. შეკრებილთ გადაუწყვეტიათ აცნობონ სათათბიროს „მშრომელთა ჯგუფს“, რომ მუშები მზათ არიან აქტიური მოქმედებით დაუჭირონ მხარი დამფუძნებელ კრებას მოთხოვნას.

— ბეჭდვითი საქმის უმთავრეს მმართველობა შუამდგომლობს პასუხის გებაში მისცეს (129 მუხლის 1 და 2 პარაგრაფის ძალით) რუსეთის **ს.-დ. მ. პ. შემაერთებელი სიეზდის რეზოლიუციების და დადგენილებების გამოქვეყნებისათვის** შემდეგი გაზეთების რედაქტორები: „ნაშა ჟიზნის“, „დუმის“, „რაბოჩეე სლოვოს“, „ნევსკაია გაზეტას“ და „ვოლნას“.

— შინაგან საქმეთა მინისტრს, სტოლიპინს, ამას წინათ მოუწვევია საჩქაროთ პეტერბურგში რეველის გუბერნატორი ბაშილოვი. მოწვევის მიზეზი არის უკანასკნელ დროში პეტერბურგში მოსული ხმები, **ბალტიის მხარეში მდგომარეობის გამწვავების** შესახებ.

## დ ე პ ე შ ე ბ ი

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

23 მაისი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბირო. კრება გაიხსნა 11 საათ. და 40 მინ. თავმჯდომარე კითხულობს ლონდონიდან მიღებულ ტელეგრამას, რომლითაც იწვევენ სათათბიროს, მიიღოს მონაწილეობა პარლამენტების საერთო კონფერენციაზე, სამედიატორო სასამართლოს შესახებ. ამ კონფერენციაში ღებულობს მონაწილეობას 20 პარლამენტი. დაადგინეს გადასცენ 19-ისაგან შემდგარ კომისიას. იძლევიან წინადადებას შეეკითხონ იუსტიციის მინისტრს ნოვოჩერკასკის სამოსამართლო პალატის პროკურატურის უსამართლო განკარგულების გირაოების შესახებ; ამათ მიუციათ წინადადება გამომძიებლებისთვის მოსთხოვონ რკინის გზის გაფიცვაში მონაწილეებს ეს გირაოები, და მოუთხოვიათ გზათა მინისტრისაგან მათი დათხოვა. დაადგინეს გადაეცეს 19-ისაგან შემდგარ კომისიას. შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს წინადადებას 35 წევრისას, გამოიკვლიონ 17 ოქტომბრის შემდეგ მთავრობის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებები. დეპუტატი ონიპკო, სასტიკათ შეეხო მინისტრების საზიზღარ მოქმედებას, მაგრამ თავმჯდომარემ შეაჩერა. შემდეგ თავმჯდომარემ აუხსნა კრებას, რომ მინისტრებს ნება აქვთ სათათბიროში წინადადების შემოტანის და, იცოდეთ ყველამ, რომ ამ დროიდან, უკეთუ რომელიმე მინისტრის ამხანაგი ილაპარაკებს, ის ლაპარაკობს სათანადო სამინისტროს დავალებით. შემდეგ სათათბირომ დაამტკიცა ბესარაბიისა და იაროსლავის გუბერნიების არჩევნები. შემდეგ დაიწყო კამათი იმ კომისიის დაარსების შესახებ, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს მთავრობის დაწესებულების და სხვა და სხვა პირების უკანონო მოქმედება.

გლეხმა პაპოვმა (ტამბოვის გუბ.) უამბო კრებას, როგორ იტანჯებიან გლეხები საერობო უფროსებისგან. დასასრულ სთხოვა სათათბიროს გადააყენეთ საერობო უფროსები და მათ მაგიერ გლეხების არჩეული კაცები დააყენეთ.

თავმჯდომარემ აუხსნა პაპოვს, რომ ის საგანზე არ ლაპარაკობს და წინადადება მისცა კრებას აირჩიონ კომისია 33 წევრისაგან მთავრობის უკანონო მოქმედების განსახილველათ. მის წინააღმდეგ ილაპარაკეს ლოკოტმა, ვინავერმა, ნოვოდვორსკიმ და ქოლკინმა. უკანასკნელმა შრომის ჯგუფის სახელით ნოვოდვორსკი პროპორციონალურ არჩევნების წინადადებას აძლევს, თითო ჯგუფზე თხუთმეტი დეპუტატის აირჩევათ. ოსტროგორსკი წინააღმდეგია, რადგან კომისია, რომელიც მთელ სახელმწიფოს ინტერესებს უპარტიო უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ სათათბიროს მესამედი ნაწილი უპარტიოაო. ქოლკინმა წინააღმდეგ ოსტროგორსკისა სთქვა, რომ დიდათ სამწუხაროა, რომ სათათბიროს მესამედი უპარტიოა, საჭიროა თვითეულმა პარტიამ გაბედულათ გამოსთქვას თავისი აზრი; მხოლოდ მთავრობა ცდილობს მთელი რუსეთი პარტიის გარეშე დააყენოს (?); შრომის ჯგუფი წინააღმდეგია ისეთი კომისიის, რომელიც ასეთ დიდ კითხვის გადასაწყვეტათ შემთხვევით ინიშნება. ქოლკინს იმედი აქვს, რომ ოსტროგორსკი უკან წაიღებს თავის წინადადებას. დიდი კამათის შემდეგ კენჭი უყარეს იმ საკითხს, რომ შესდგეს კომისია მთავრობის უკანონო მოქმედების გამოსაკვლევათ, რაც ერთხმათ მიღებულ იქნა. კენჭი უყარეს ნოვოდვორსკის და ფედოროვსკის შესწორებას, მაგრამ უარყვეს. ქოლკინის და ლოკოტის შესწორება მიიღეს. კრება შესვენების შემდეგ ისევ გაიხსნა 3 საათსა და 20 წუთზე, თავმჯდომარეობს თავადი დოლგორუკოვი. სათათბიროს მოხსენდა წინადადება, შედგეს კომისია თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედების გამოსაკვლევათ: სათათბირომ განაცხადა, რომ ეს წინადადება, რომელიც შრომის ჯგუფისგან გამოდის, უკვე შედის სათათბიროს მიერ მიღებულ პირველ წინადადებაში. შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს ვინავერის წინადადებას სათათბიროს დებულების მე 55 56 და 496 მუხ. შეცვლის შესახებ ვინვერი ამბობს, რომ ეს მუხლები დიდათ ხელს უშლის სათათბიროს კანონმდებლო მოქმედებას და შედგენილია 6 აგვისტოს სათათბიროსთვის და არა 17 ოქტომბრისო. ის თხოულობს დაუყონებლივ შეიმუშაონ კანონ პროექტი. თავადი ვოლკონსკი მხარს უჭერს ვინვერს და თხოულობს დაიბეჭდოს წინადადება თავმჯდომარემ კენჭი უყარა ვინვერის წინადადებას რადგან კენჭის ყრის შედეგი კარგათ ვერ გამოირკვა ვინვერი დაეთანხმა ვოლკონსკის. შემდეგ წაიკითხეს განცხადება ტაგანროგის ციხეში შიმშილობის შესახებ, ანტონ შჩერბაკის დაჭერის და რიგაში სამხედრო სასამართლოს შესახებ.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბირო, (გაგრძელება). სათათბიროს წინადადებას აძლევენ შეეკითხოს სამხედრო მინისტრს, თუ რა დონისძიებაა მიღებული, ვინიცობაა 35 კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

გრ. გეიდენი გაოცებულია და საჭიროთ ცნობს ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენას, რისთვისაც უნდა მოიძებნოს სხვა უფრო რიგიანი საშვალება და დახმარება.

ალადინი მკაცრი სიტყვით ამტკიცებს, რომ მინისტრების იმედი არაფერში არ უნდა გვქონდესო, მათგან მხოლოდ შურის ძიებას უნდა მოველოდეთო. სათათბიროს სხვა საშვალება არა აქვს, ის უნდა შეეკითხოს სამინისტროს და ამგვარათ დანთხეული სისხლის პასუხის გება იმათ კისერზე გადაიტანოს, ვინც დღეს მართვა-გამგეობას სათავეში უდგას. სათათბირო ერთ ხმათ იღებს ყველა შეკითხვებს პეტრაჟიცკის სიტყვის შემდეგ, რომელმაც ის აზრი გამოსთქვა, რომ შეკითხვა ეს ერთად-ერთი ხელმისაწვდენი საშვალებაათ. წინადადებანი შეკითხვის შესახებ გადაეცა კომისიას. შემდეგ წარმოადგინეს მშრომელთა ჯგუფის მოხსენება აგრარულ რეფორმების პროექტით, რომელიც გადაეცა აგრარულ კომისიას. სათათბირო იწყებს აგრარული კითხვის განხილვას, თავმჯდომარე სიტყვას აძლევს მინისტრის ამხანაგს გურკოს. იმის ტრიბუნაზე გამოსვლამ დიდი ხმაურობა გამოიწვია, განსაკუთრებით მშრომელთა ჯგუფში: „სამსახურიდან გადადექით, სამსახურიდან: დროზე დაანებეთ თავი“! თავმჯდომარე წესიერების აღდგენას ცდილობს.

შემდეგ ილაპარაკა მინისტრმა სტიშინსკიმ. სტიშინსკის შემდეგ ილაპარაკა პეტრუნკევიჩმა. ორატორი უარყოფს მთავრობის განცხადებას. ისინი თვალ დახუჭულნი, საქმის გაუგებრათ მსჯელობენ და გამოდის ისე, როგორც იაპონიის ომას დროსო, ამბობს ორატორი: ჩვენ ააალი ცუსიმა მოგველის. მთავრობა სულაც არ ფიქრობს აგრარული საკითხის შესახებ, ის მხოლოდ ცდილობს მიწების საქმეების მოწესრიგებას—მთავრობა ტყუილათ ებღაუჭება პატრიოტიზმს, პატრიოტობა დიდათ სასირცხვოა დღეს ყველასათვის. პატრიოტი ქვია იმას, ვინც იცავს ძველ რეჟიმს, ვინც იწვევს ხალხს ებრაელების და პოლონელების დასარბევათ. პატრიოტიზმი თხოულობს თავის შეწირვას. მინისტრებს რომ ასეთი თვისება ქონდეთ, ისინი დღეს აქ არ ისხდებოდნენ. სათათბირო მანამ არ დაიშლება, სანამ აგრარულ საკითხს არ გადასწყვეტს, (იმის გაშას ძახილი, ცხარე ტაშის ცემა და „გადადგეს“ ძახილი სამინისტროს შესახებ). სიტყვა პროფესორ გერცენშტეინს მისცეს. თავის ვრცელ სიტყვაში მან დაწვრილებით აღნიშნა მთავრობის წარსული მოქმედება, მთავრობა მუდამ თავადაზნაურთა ინტერესებს იცავდა და გლეხებს ფეხქვეშ თელავდაო. ორატორს არ სჯერა მთავრობის დაპირება, რომელიც თავის სარგებლობისთვის ცდილობს, ორატორმა დაარღვია მინისტრების საბუთები, მრეწველობის და მსხვილ მიწათმფლობელობის უპირატესობის შესახებ და გაათავა მით, რომ განაცხადა, მზათ ვარ პასუხი მივცე მინისტრებს, მარა ველოდები მათგან საბოლოო პროექტსო (ორატორს ოვაცია გაუმართეს და დიდ ხანს ტაშს უკრავდენ). შემდეგ ილაპარაკა გრაფ გეიდენმა. მან სთქვა, რომ ყველა ორატორები მინისტრების შესახებ ლაპარაკობენ და ჩემის აზრით უმჯობესია მათზე ლაპარაკს თავი დაანებოთო. კრება 7 საათსა და 10 წუთზე დაიხურა. შემდეგი კრება ხვალ განიხილავს სახელმწიფო სათათბიროს დებულების მე-55, 56 და 57 მუხლების შესახებ აგრარულ საკითხის განხილვა გაგრძელდება.

**პეტერბურგი.** გენ. ნეპლიუევის მკვლელის განზრახვის საქმე დანიშნულია გასარჩევათ მაისს კონსტანტინოვის ბატარეაში. ყველა დამნაშავეებს, გარდა მაკაროვისა, რომელიც წლამდე ნაკლებისაა, სიკვდილით დასჯა მოუსაჯეს. დამნაშავეები მართლ-მადიდებელი სარწმუნოების არიან. იცავენ ნაფიცი ვექილები ჟდანოვი, დიანტროვიჩი და ანდრონიკოვი.

**იაროსლავი.** გადაიწვა მთელი სოფელი. ზარალი 1000,000 მანეთამდეა.

**პოლტავა.** გუბერნიაში საყოველთაო სწავლის შემოღების საკითხს არჩევენ საგუბერნიო ერობამ მიმართა საზღვარ გარეთ შეატყობინოს როგორ არის იქ დაყენებული ეს საქმე.

**ჩიტა.** თავისუფალ მოსამსახურეთა კავშირის არჩევათა საქმე, რომელიც განიხილა სამხედრო სასამართლომ 19 მაისს, შეიცავს შემდეგ ბრალდებას 102, 101 და 129 მუხ. სამხედრო დებულების და 110 და 117. კავშირის შედგენა არსებულ წეს-წყობილების დასანგრევათ, მთავრობის წინააღმდეგ და დარაჯებზე თავდასხმა. დამნაშავეები გაამართლეს.

**კიევი.** ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება. ზოგიერთ გზაზე საპიტრებს და კურსისტებს დაუყავთ ვაგონები, რომლებმაც უცოდინარობის გამო ტორმოზები და მატორები გააფუჭეს. იყო მაგალითი ვაგონების დატაკების. გაფიცვა იმან გამოიწვია, რომ დაპირებული საჩუქარი არ მისცეს სულის წმინდის მოფენის დღეს შეძლება გაფიცვა ცუდათ გათავდეს, რადგან მოსკოვის არტელი დახმარებას პირდება საზოგადოებას.

**პარიჟი.** ნამდვილ წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ამ ზაფხულში ინგლისი თავის ესკადრას გზავნის ბალტიის ზღვაში, ესკადრა რუსეთის ოთხ და გერმანიის ორ ნავთსადგურში შეივლის.

## „ლამპარი„-ს ფოსტა.

**ააბაშა,** მიხ. ნადარეიშვილს. ასი ცალი გაზეთი ღირს დღეში 5 მან. აგენტებს ეთმობა 4 მანეთათ.

**ლანჩხუთი,** ვ. ებრალიძეს. ქალაქს გარეთ თვიურათ გაზ. 80 კაპ. ღირს.

**ნიგოითი,** ნ. რ. ბ. კ. გაზეთები ამ თვის დამლევამდის გამოგეგზავნებათ.

**ჩოხატაური.** ქ ლ ე ნ ტ ს. გაზეთი რომ გეგზავნებათ ხელისმომწერლები იქიდან დააკმაყოფილეთ პირველ ივნისამდის.

**ბათუმი.** „ნევსკაია გაზეტა“-ს მთელი კომპლეკტი არა გვაქვს, რადგანაც სულ გაიყიდა. არის 2—8 ნომრამდის. „წითელი დროშა“ არ დაიბეჭდება.

რედაქტორ-გამომცემელი კ. თავართქილაძე.


## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

## ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ იმ პირთა სია, ვისაც უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ფოთის ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნში ოთხი წლით 1906—1910 წ. წ., თანახმათ საქალაქო დებულების 35 მუხლისა, საყოველთაოთ გამოცხადებული იქნება ამა 1906 წლის 1 ივნისს.

საქალაქო დებულების 33 მუხლის მერვე პუნქტის ძალით, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს ვერც პირადათ და ვერც წარმომადგენლობით ის პირი, ვის მამულზედაც ვალად ითვლება ქალაქის დაფასებითი გადასახადი ნახევარ წლისაზე მეტი, ამიტომ ქალაქის გამგეობა სთხოვს ყველას, ვისაც სურს არ დაკარგოს მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, დაიჩქაროს გადასახადის შემოტანა, სანამ საარჩევნო სია გამოცხადდებოდეს იმ წესით, რომელიც დაარსებულია საქალაქო დებულების 38 მუხლის ძალით.

15 მაისი 1906 წ.

ქალაქის თავი **ნ. ნიკოლაძე**

მდივანი **ს. ფარეიშვილი**

(3—1)

**მიიღება ხელის მოწერა**

სომხურ პოლიტიკურ, საზოგადო და საე. ო ნომიო ახალ გაზეთზე

„პ ა ი ღ“ (ნაპერწკალი)

რომელიც ჯერ-ჯერობით გამოდის კვირაში ორჯელ

სოლოლაკის ქუჩა, № 1


ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“. ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 65.